გაზეთი ხალხის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№79 (1105) 15 – 16 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



გვ.2

მცოცავი ანექსია გრძელდება

ვის ემუქრება და რატომ მოუწოდებს ოპოზიციას გაერთიანებისკენ აკაკი ბობოხიძე

გვ.5

„შემოდგომიდან ხელისუფლებას ჯოჯოხეთი უნდა მოვუწყოთ"

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
UnionPay International (UPI)-ის უკონტაქტო ბარათებს გამოუშვებს

გვ.9

თბილისის რომელი ქუჩები გამოცხადდება სამშენებლო ნებართვისგან თავისუფალ ზონად

ვერეს ხეობაში სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაციის სამპუნქტიანი გეგმა

გვ.7

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ნავთობკომპანიები კარტელურ გარიგებაში ამხილა

ნავთობპროდუქტების ბაზრის შემდეგ ფარმაცევტულ და ფქვილის ბაზრებსაც შეისწავლიან

გვ.4

ზურაბ ქვანია

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

გვ.3

არა ოკუპაციას!

მცოცავი ანექსია გრძელდება — წითელუბნისა და ორჭოსანის შემდეგ, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება სხვა სოფლებშიც იგეგმება

მცოცავი ანექსია გრძელდება — რუსეთის საოკუპაციო ძალებმა, 10 ივლისს, გორის რაიონის სოფელ წითელუბნისა და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები აღმართა. აღნიშნული სოფლის სიახლოვეს მდებარეობს ბაქო-სუფსის მილსადენის გარკვეული მონაკვეთები, განხორციელებული ქმედებების შედეგად კი, სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების დამონტაჟება დამატებით რამდენიმე სოფელში იგეგმება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის კაგებეს სამსახური, ე.წ. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, სპეციალურ განცხადებას აქვეყნებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ზნაურის, ცხინვალისა და ახალგორის რაიონის სოფლებში დამატებით იგეგმება საინფორმაციო ბანერების აღდგენა-დამონტაჟება. ოსური მხარის ინფორმაციით, აღნიშნული საკითხი გეგმური სამუშაო პროცესია.

„რუსეთის ფედერაციას, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროგრამის განხორციელების ფარგლებში, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, საზღვრის დაცვის სამსახურმა, ცხინვალის, ზნაურისა და ახალგორის რაიონში 1 ივლისიდან ქართულ-ოსურ საზღვარზე საინფორმაციო ნიშნების გეგმური მუშაობა-მონტაჟი და რესტავრაცია განაგრძო. აღნიშნული ღონისძიებები სამხრეთ ოსეთის მხრიდან ცალმხრივად ტარდება იმის გამო, რომ 2012 წლიდან, ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს ქვეყნებს შორის გამყოფი და რელიეფის სადემარკაციო ხაზის აღნიშვნაზე და ასევე, წარმოქმნილი სადავო საკითხებისას ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაზე. უფლებამოსილი ორგანოების მიერ, საზღვრიდან 50 და 100 მეტრის დაშორებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის სიღრმეში, ზნაურის რაიონის დასახლებულ პუნქტებში ბალთასა და წნელისში, ასევე, ახალგორის რაიონის სოფლებში ორჭოსანსა და წინაგარაში, ახალი საინფორმაციო ნიშნები დამონტაჟდა. ზნაურის რაიონის სოფელ იონჩასა და ცხინვალის რაიონის სოფელ დისევში აღდგა ადრე დაზიანებული საინფორმაციო ნიშნები“.

რუსული საჯარისო დანაყოფის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით, შეხვედრა გამართა საქართველოს პრეზიდენტმა. გიორგი მარგველაშვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ კიასტუტის იანკაუსკასს, ასევე საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციის და „ბრითიშ პეტროლიუმის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

„საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის და, ბუნებრივია, ჩემთვის, მიუღებელია სუვერენულ ქართულ მიწაზე გამყოფი ზოლის ყოველი ახალი მეტრი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი გამყოფი ხაზი გადის სტრატეგიული ობიექტების მახლობლად. ურთულეს ვითარებაში, საქართველოს ყველა ხელისუფლება ახერხებდა, პარტნიორებთან ახლო კოორდინაციის გზით, დაეძლია სირთულეები. ასე იქნება მომავალშიც. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია, არ დაკნინდება. პირიქით, მომავალში უფრო გაძლიერდება“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ადგილზე შექმნილი ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია გააცნეს.

შეხვედრას უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საოკუპაციო ხაზთან ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვას პროვოკაციას უწოდებს, თუმცა აცხადებს, რომ მთავრობამ იცის, რა უნდა გააკეთოს და პანიკა საჭირო არ არის: **„ყველას სიმშვიდისკენ მოგიწოდებთ. საჭირო არ არის ზედმეტი აჟიოტაჟი. მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად მივყვებით ჩვენს გზას. მშვიდად, მაგრამ პრინციპულად და მტკიცედ უნდა გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ბერკეტი. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ტერიტორია მოქცეული იყო, ოკუპანტების გავლენის ქვეშ და ეს ტერიტორია არ იყო ჩვენი კონტროლის ქვეშ. ბანერების დადგმა შეიძლება შეფასდეს როგორც პროვოკაცია. ეს გაუმართლებელია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ჩვენ განვაცხადეთ და სამი წლის განმავლობაში ქმედებით დავამტკიცეთ, რომ ნამდვილად გვსურს რუსეთთან დიალოგის, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ურთიერთობების დარეგულირება და დეოკუპაციის პროცესის დაწყება“.**

ირაკლი ღარიბაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ **„შეჩერდება ეს პროცესი, ვინაიდან ეს არც ერთ მხარეს არ წაადგება“.**

ფაქტი შეაფასა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა. მისი თქმით, ხელისუფლება უმოქმედოდ არ არის და ყველაფერს გააკეთებს, რომ მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მშვიდად და ემოციების გარეშე საფუძველი ჩაუყაროს ქართული სახელმწიფოს სახელმწიფოს სიძლიერეს: **„ჩვენ უმოქმედოდ არ ვართ. ისეთ ნაბიჯებს ვდგამთ, რომლის გადადგმა წინა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ხელისუფლებაში ყოფნის ვერც ერთ ეტაპზე. იმისთვის, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა გამყარდეს, ამას, რა თქმა უნდა, კრემლში აღფრთოვანებული არავინ შეხვდება, მაგრამ ამის გამო, რა თქმა უნდა, არ გავჩერდებით. მთავარი ინტერესი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ამოძრავებს, არის ჩვენი ქვეყნის ინტერესები და არა ვიღაცის კაპრიზები ან ვიღაცის შიში, ამიტომ გავაკეთებთ ყველაფერს, მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან მშვიდად და ემოციების გარეშე, რაც საფუძველს ჩაუყრის ქართული სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტ სიძლიერეს“.**

ე.წ. საზღვრის გადმოწევის ფაქტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა. როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ჯონ კირბიმ განაცხადა, აშშ-ს პოზიცია უცვლელია და ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მან სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით, კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს, შეცვალოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე: **„ჩვენი პოზიცია „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მიმართ, ნათელი რჩება. ეს რეგიონები საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ვადასტურებთ მტკიცე მხარდაჭერას, საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისადმი. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შედეგად, დაკისრებული ყველა ვალდებულება. გამოიყვანოს ჯარები კონფლიქტის წინა პოზიციებზე, შეცვალოს საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილება და უზრუნველყოს ამ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების თავისუფლად მიღება“.**

„მცოცავი ანექსია“ გააპროტესტეს მედიის წარმომადგენლებმა. ჟურნალისტების პროტესტს, „ვერსიაც“ უერთდება.

აქცია „არა ოკუპაციას“ სოფელ ხურვალეთში გაიმართა. ჟურნალისტებმა სოფელ ორჭოსანთან დადგმული ბანერის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი“ დემონტაჟი მოახდინეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ჟურნალისტ ლაშა ბერულავას განცხადებით, აქცია იმისთვის დაიგეგმა, რომ რუსეთის მიერ ე.წ. საზღვრების გავლება გააპროტესტონ: „ეს არის ჟურნალისტების მიერ ორგანიზებული აქცია. ჩვენ, ჟურნალისტებს ისევე, როგორც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, გვაქვს პროტესტის გრძნობა იმის გამო, რაც აქ ხდება. გრძელდება მცოცავი ოკუპაცია რუსეთის საოკუპაციო ჯარების მხრიდან და გვინდა, ამის გამო ჩვენი პროტესტი გამოვთქვათ“.

„ვერსიანიუსი“

მაშველებმა ზღვაში დაკარგული 15 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს

მაშველებმა ბათუმში, ზღვაში დაკარგული 15 წლის ბიჭის ცხედარი იპოვეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომელმა, ზვიად ჯაფარიძემ განაცხადა, ზღვაზე სამძებრო სამუშაოები სამი დღის წინ დაიწყო: **„სამდღიანი ინტენსიური სამაშველო სამძებრო სამუშაოების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველების მიერ ნაპოვნი იქნა 11 ივლისს ზღვაში დამხრჩვალი 15 წლის ბიჭი. ცხედარი გამოყვანილია და ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები“.**

მოზარდი 11 ივლისს ხიდიდან გადახტა და მას შემდეგ არავის უნახავს. გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„ინტერპრესნიუსი“

გლდანში მომხდარ აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

გლდანში, მე-6 მიკრორაიონში მომხდარი აფეთქების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმე 240-ე პრიმა მუხლით არის აღძრული: **„საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 240 პრიმა მუხლით, რაც ელექტრო ან გაზის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. მიმდინარეობს გამოძიება“.**

გლდანის მე-6 მიკრორაიონის მე-2 კორპუსის მეოთხე სადარბაზოს 9-სართულიან კორპუსში აფეთქება მოხდა. სავარაუდოდ გაზის აფეთქების შედეგად მე-4, მე-5, მე-6 სართულებზე არის სართულების შიდაჩაშლა. ოფიციალურად დადასტურებულია ორი ადამიანის გარდაცვალება.

„პირველი“

პრემიერმა რიჩარდ ნორლანდი ოქროს საწმისის ორდენზე წარადგინა

ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, ოქროს საწმისის ორდენზე წარადგინა.

ამის შესახებ ამერიკის ელჩთან გამართულ გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე გახდა ცნობილი. მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა რიჩარდ ნორლანდს საქართველოში გაწეული საქმიანობისთვის და მას წარმატებები უსურვა.

მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობების საკითხები, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა განიხილეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას. რიჩარდ ნორლანდმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა აშშ-ს სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი იან კელიმ შეცვალა.

„პირველი“

ზურაბ ჟვანია სკანდალური საქმე



სპეციალური რეპორტაჟი საქალაქო სასამართლოდან

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას საქმეზე მეორე არსებითი განხილვა გაიმართა. სხდომა დაგვიანებით 11:30 საათზე დაიწყო. ბრალდების მხარეს პროკურორი რეზო ნადიო, ანი სიგუა, თორნიკე ნადირაძე და ზვიად გუბელაძე წარმოადგენენ, დაცვის მხარეს კი — ადვოკატები ბექა ბასილაია, ტარიელ კიკნაზე, გიორგი გერხაული და გელა ქენქაძე. სხდომაზე თორმეტივე ნაფიცი მსაჯული გამოცხადდა. როგორც მოსამართლე ეკა არეშიძემ განმარტა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას მათ მოწმეებისთვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობაც მიეცემოდათ.

პირველი მოწმე გარდაცვლილი პრემიერის მეუღლე ნინო ქადაგიძე-ჟვანია გახლდათ. განაცხადა, რომ ლაპარაკი არ უყვარს, თუმცა საჭიროდ მიიჩნევს, დღეს ყველა დეტალი განსაკუთრებული ყურადღებით გაიხსენოს. ჩვენება მისი და მეუღლის პირადი ურთიერთობის აღწერით დაიწყო. გაიხსენა, რომ ყოველდღე ეშინოდა, ჟვანიას სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნოდა: „მე რომ ცოლად გავყევი, მაშინ მხედრიონი იყო. სულ მეშინოდა. ღამე ვიღვიძებდი, სუნთქავს თუ არ სუნთქავსო. ზურა შინაგანად ძალიან წესიერი ადამიანი იყო, სახლში სიმკაცრე გვქონდა. ჩვენი ბიუჯეტი ალბათ 1000 ლარი იყო. მეტს ვერ მოთხოვდი. იყო მორწმუნე და ტრადიციული. არავის ვასწავლი, უბრალოდ ვყვები, როგორი მეუღლე მყავდა. სანამ სახლში შემოვიდოდა და გამარჯობას იტყოდა, სანთელს ანთებდა“.

ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ პრემიერის გარდაცვალების დღე გაიხსენა. მისი თქმით, დაახლოებით ღამის 3 საათზე გაეღვიძა და როცა დაფიქსირა, რომ მეუღლე არ იყო მოსული, მაშინვე დაურეკა. ზურაბ ჟვანიამ რადგან არ უპასუხა, დაცვის წევრებთან დაიწყო რეკვა. ბოლოს ძაძამიამ უპასუხა და სთხოვა, ათ წუთში დაერეკა. მოგვიანებით, ძაძამიამ დაამშვიდა, ჟვანია შეხვედრაზეა და ყველაფერი კარგადააო. ქადაგიძე-ჟვანიას ვარაუდით, მეუღლე უკვე გარდაცვლილი იყო. ბოლოს, შუაღამისას წყნეთიდან მარტო ჩამოვიდა თბილისში და შემთხვევის ადგილზე, დაახლოებით დილის 6 საათზე მივიდა. ქადაგიძე-ჟვანიამ პრემიერის გარდაცვალების გარემოებებზეც ისაუბრა. პროკურატურის მიერ დადებული შედეგები ეჭვქვეშ დააყენა და განაცხადა, რომ მსჯავრდებულების მიერ მიცემული ჩვენებები სანდო არ არის, რადგანაც ერთმანეთს არ ემთხვევა: **„ის რაც გამოძიებამ დადო, ყველაფერი ტყუილი იყო. იცვლება მონაცემები. ჯერ 18 პროცენტი იყო, შემდეგ 64... მერე აღმოჩნდა, რომ გაზი საერთოდ გაითიშა. მე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ისე გიყვებით ამ ყველაფერს. თქვენც ხომ გაგიჩნდებოდათ შეკითხვები? ხარშილაძე წავიდა, დალია და მის დაცვის ობიექტთან ერთი ზარიც კი არ გააკეთა. ძაძამია იმას ამბობს, ტელეფონი მქონდა დამჯდარი, წავედი და დავტენეო. შემდეგ ხარშილაძე ამბობს, ოთახში რომ შევედი, გაზის შიშინი მესმოდა და ამიტომ გამოვრთეო. მწეველ ზურას, რომელიც დღეში 2 „პაჩკა“ სიგარეტს ეწეოდა, ფანჯარა დაკეტილი ჰქონდა? მერე აღმოჩნდა, რომ ეს ფანჯარა საერთოდ არ იკეტებოდა, რადგან საკეტი არ მუშაობდა. შემდეგ გაზი შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ CO არ აღემატებოდა ნორმის მაჩვენებელს. არც გაზის გამათბობელზე აღინიშნებოდა ნამწვი. მითხარით, ეს შეკითხვები მე უნდა გამიჩნდეს თუ გამოძიებას?“.**

სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას ქადაგიძემ ყურადღება იმ სეიფზეც გაამახვილა, რომლიდანაც, მისი განმარტებით, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, კობა ხარშილაძემ ძვირფასი ნივთები, საქმიანი ქაღალდები და იარაღი წაიღო: **„ამ ამბის შემდეგ კობა მიდის და ხსნის ზურას სეიფს. რატომ აკეთებს ამას? არც ერთმა ოჯახის წევრმა არ იცის, ის კი მიდის პარტიის ოფისში და კანცელარიაში. შემდეგ აღმოჩნდა, რომ რაღაცები დაიკარგა. ზურას ჩუქნიდნენ ხოლმე სანადირო თოფებს, რომლებიც არ იყო რეგისტრირებული. შესაძლებელია იქ მნიშვნელოვანი მასალაც ყოფილიყო. მიშა აირჩიეს პრეზიდენტად და მოვიდა მერაბიშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი, რომლებიც ზურას საერთოდ იგნორირებას უკეთებდნენ. ინფორმაციას ზურა ჟურნალისტებისგან გებულობდა. წასვლაც უნდოდა, მაგრამ მითხრა ეს ქვეყანა ვის დავუტოვოო. ეს წლები ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ძალიან მძიმე იყო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მაინც მაგრად გავიარე. ჩემს გვერდით ჩემი ოჯახია, ჩემი შვილები და ისინი სწორად იგებენ ყველაფერს. ზურას ცოცხალს ხედავენ და ამ რწმენით გავაგრძელებთ ცხოვრებას. ყველა ზნეობრივი ადამიანი ვინც პოლიტიკაში მოვიდა, ძალადობრივი გზით ამთავრებს სიცოცხლეს“.**

ქადაგიძის განმარტებით, პრემიერის გარდაცვალების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს ორჯერ შეხვდა. როდესაც საუბარი გამოძიებას შეეხო, სააკაშვილს უთქვამს, ყველაფერი მთხოვე, მაგრამ გამოძიებას თავი დაანებეთო. გარდაცვლილი პრემიერის მეუღლის განცხადებით, სახელმწიფო მანქანა მუშაობდა, რომ მისთვის ყველაფერი დაემალათ.

დაცვის მხარის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ქადაგიძისთვის განსაკუთრებით ემოციური იყო. ყველაზე მეტად კი მაშინ, როცა საქმე იმ ექსპერტიზას შეეხო, რომელსაც უნდა დაედგინა, შეძლებდა თუ არა ხარშილაძე სახლში ფანჯრიდან შეღწევას. აღნიშნული ექსპერტიზა 2005 წლის 9 აპრილს ჩატარდა, ქადაგიძის განმარტებით — გარდაცვლილი პრემიერის ძმის, გოგლა ჟვანიას ინიციატივით. ნინო ქადაგიძე ამტკიცებდა, რომ ამ ექსპერტიზას არ ესწრებოდა, თუმცა დაცვის მხარემ დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა, რომელსაც გარდაცვლილი პრემიერის მეუღლე აწერდა ხელს. დოკუმენტის მიხედვით, ექსპერტიზას ქადაგიძე ნამდვილად ესწრებოდა. **„დამასრულებინე, ადამიანი არ ხარ? შეიძლება, ვესწრებოდი კიდეც, მაგრამ აღარ მახსოვს. 10 წლის წინ მოხდა ეს ყველაფერი და ზუსტად არ მახსოვს“,** — საბოლოოდ, ასეთი იყო ნინო ქადაგიძე-ჟვანიას პასუხი.

გარდაცვლილი პრემიერის მეუღლემ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი, თითქოს ძაძამია ჟვანიას რჩეული დაცვის წევრი იყო და სწორედ იმიტომ აღმოჩნდა იმ კონსპირაციულ ბინაში მასთან ერთად. მისი თქმით, ეს სიცრუე იყო. მეტიც, ქალბატონი ნინო ამტკიცებს, ჟვანიამ ერთხელ გაათავისუფლა კიდეც ძაძამია, როცა პრემიერი ოჯახთან ერთად მანქანით მგზავრობდა, ძაძამიამ კი საჭე ვერ დაიმორჩილა, არასწორი მანევრირება გააკეთა და ოჯახი კინაღამ ავარიაში მოახვედრა. ძაძამია სამსახურიდან დაითხოვეს. თუმცა ის ჟვანიას დედასთან, რიმა ჟვანიასთან თხოვნით მივიდა, რის შემდეგაც აღადგინეს. ძაძამიას გარდაცვლილი პრემიერის მეუღლე ამგვარად ახასიათებს: **„ძაძამია დაცვაში ყველაზე სუსტი რგოლი იყო. გამჭრიახობითაც არასდროს გამოირჩეოდა. არც ჩემი და არც ზურას მხრიდან არანაირი განსაკუთრებული ნდობით არ სარგებლობდა“.**

ნინო ქადაგიძე-ჟვანიას დაკითხვა საქალაქო სასამართლოში თითქმის 2 საათი გაგრძელდა. ამის შემდეგად შესვენება გამოცხადდა. შესვენების დროს განსასჯელ კობა ხარშილაძის მამას, **გუგულა ხარშილაძეს** ვესაუბრეთ. ბატონმა გუგულამ გაგვიმხილა, რომ სამართლიანი გამოძიების იმედი აქვს: **„ჩემს შვილს პრემიერის გარდაცვალებაში არანაირი ბრალი არ მიუძღვის. მებაღედ ვმუშაობ. სულ მეკითხებიან, შენი შვილი რას შვრებაო. პასუხი ჯერ არ მაქვს. კობას გარდა, ორი ქალიშვილი მყავს. ჩემი მეუღლე სასამართლოში არ მოდის, სულ ტირის და მერე ცუდად ხდება. მეც გავნახევრდი. წნევა მაწუხებს. ზურაბ ჟვანია უჭკვიანესი კაცი იყო. ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა. ჩვენს ოჯახსაც ხშირად სტუმრობდა. ერთხელ, კობას დაბადების დღეზე მოვიდა. აღმოჩნდა, მარხვაზე იყო. სამარხვო არაფერი გვქონდა. წავედი და ლობიანი მოვუტანე. მერე კი მითხრა, გუგულა ბიძია, რატომ შეწუხდით, მე მწვანილსაც და პურსაც შევჭამდიო. ძალიან კარგი კაცი იყო, ცხონებული. ჩემი შვილი 12 წელი ერთგულად ემსახურა. ცუდი რომ ყოფილიყო, ხომ გაათავისუფლებდა სამსახურიდან? ახლა რაღაც ფულზე ლაპარაკობენ. რა ფული, რის ფული? წარმოდგენა არა მაქვს“.**

შესვენების დასრულების შემდეგ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ნოდარ თხელიძეც დაკითხეს. მესამე არსებითი განხილვა 15 ივლისს, 11:00 საათზეა ჩანიშნული.

„ზემოდან“ მაყურებლები

ლევან სეფისკვერაძე

ჩვენს გარშემო ყოველვის იყვნენ და ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაში არსებულ უკვლებლივ ყველა პრობლემას არა ხელისუფლებას, კონკრეტული ჩინოსნების უუნარობას, ან ქვეყნის ზოგად სიღარიბეს, არამედ „ამ ბანძ და საზიზღარ ხალხს“, ანუ რიგით მოქალაქეებს აბრალებენ. ზემოთ ხსენებულ ტერმინებს მოისმენთ ყველგან, სადაც კი ხუთი ადამიანი შეიკრიბება და ამ ხუთიდან ოთხს მაინც აქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ თვითონ ესოდენ ღრმააზროვანი, შეგნებული, განათლებული და ქვეყნისათვის კეთილისმყოფელი, უბრალოდ არ და ვერ ეგუება მის გარშემო გამეფებულ „სიბნელესა და ბანძობას“.

ისინი, ვითარცა ოლიმპოზე მდგარი ღმერთები — ზემოდან გადასცქერიან „ქვემოთ მდგომთ“ და შთაგონებული ხმით უწოდებენ მათ ყველაფერ იმას, რაც პირზე მოადგებათ. ამ დროს, დიდი ალბათობით „ოლიმპოზე მდგარნი“ არაფრით სჯობიან და ხშირ შემთხვევაში, ბევრად შეზღუდული არეალისანი ბრძანდებიან, ვიდრე მათ მიერ გაკიცხულნი. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, გნებავთ ცოდნითა და გნებავთ შეგნებით, ნებისმიერი რიგითი მოქალაქე აჯობებს, მაგრამ ისინი მაინც ჯიუტად აგრძელებენ თავისას და სულ უფრო ხშირად მოისმენთ საზიზღარ ტერმინებს: „გრუზინეცი“, „ქაჯი ხალხი“, „ღმერთო, ეს რა ხალხში ვარ“ და მისთანანი...

ეს ადამიანები, როგორც წესი, არსებული ხელისუფლების (მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, ადრე ვის უჭერდნენ მხარს. მთავარია, ახლა ვინაა „ზემოთ“) მხარდამჭერებად გვევლინებიან და როდესაც ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ჩამოვარდება სიტყვა, გასაოცარი უტიფრობით აბრალებენ ყველაფერს ჩვენს გვერდით მცხოვრებ „ამ გაუნათლებელ და უწიგნურ ჟუჟუნებსა და რამაზებს, ნოდარებსა და მაყვალებს“. და როდესაც ამ საძაგლობებს ამბობენ, საერთოდ არაფრად უღირთ ის ფაქტი, რომ მათი მშობლები, ახლობლები, ნათესავები და ჩვენი ქვეყანა სწორედ ესოდენ „საძაგელი“ ჟუჟუნები და მაყვალები არიან და თუკი მათი განათლება ვერაა სორბონისა და ოქსფორდის შესაბამისი, ეს ნამდვილად არაა მათი ბრალი და საერთოდ, წაკითხული წიგნების რაოდენობით მხოლოდ ისინი ამაყობენ, ვინც ღირებულს საერთოდ არაფერს კითხულობს.

რა გვაკლია ჩვენ? – კითხულობს პათეტიკით შემოსილი მავანი პოლიტიკოსი და სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვინმე თუ ეუბნება მას და ზოგადად ჩვენს საზოგადოებას, მართლაც რა გვაკლია ყველაზე მეტად. ჩვენი უპირველესი პრობლემა არაა მხოლოდ ის, რომ საქართველო ერთი ბეჩავი და ღარიბი ქვეყანაა, რომელსაც ნავთობის ნაცვლად იღბალმა მხოლოდ რამდენიმე ასეული პოლიტიკური პარტია მოჰმადლა. ჩვენი მთავარი პრობლემაა ურთიერთსოლიდარობის ნაკლებობა და თანამოქალაქეების, ბოდიშით და, ფეხებზე დაკიდება.

ჩვენში ყველა ტერმინი სახეცვლილია და მორალურად გამოშიგნულია. მათ შორისაა ტერმინი სოლიდარობა და ზოგჯერ ამ სიტყვას ის ხალხი ატრიალებს, რომლებიც ქუჩის გამოკითხვებს ატარებენ, რათა ყველა დაგვარწმუნონ თუ რა „ბნელ ხალხში“ გვიწევს ცხოვრება და მთელი ხმით გვიმტკიცონ, რომ ჩვენი თანამოქალაქეები სიყვარულსა და სოლიდარობას არ იმსახურებენ. ამაზე მეტი უბედურება რა შეიძლება იყოს?

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ არავინ იცის აქედან გამოსავალი, მით უმეტეს, რომ როდესაც „ბანძი ხალხის“ მაკრიტიკებელს ადვილად გამოიჭერ იმაში, რომ ერის განათლებაზე გოდებას ურჩევნია თავად წაიკითხოს რამე. ეს უკანასკნელი არასოდეს გაწითლდება, არასოდეს დახრის თავს და არასოდეს მიიღებს დანაშაულში გამოჭერილი კაცის სახეს. პირიქით, რეალური გამოცდილება აჩვენებს, რომ ის აქეთ შემოგიტევს, აქეთ დაგიყენებს ბრალდებათა კორიანტელს და ისეთ იარლიყებს მოგაწებებს, ადამიანის ფანტაზიასაც კი რომ სცილდება. მერე დაჯექი და ამტკიცე, ვინ ხარ და რაზე ოცნებობ. ამტკიცე და ინერვიულე.

ნავთობპროდუქტების ბაზრის შემდეგ ფარმაცევტულ და ფქვილის ბაზრებსაც შეისწავლიან?

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ნავთობკომპანიები კარტელურ გარიგებაში ამხილა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პირველად საქართველოში, ნავთობპროდუქტების ბაზრის ძირითადი მოთამაშეები, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ კარტელურ გარიგებაში ამხილა. რადიო „კომერსანტის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის გამო, ბიზნესკომპანიები საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას — რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს გადაიხდიან. კონკურენციის სააგენტოს ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოება 20/30-ის ექსპერტის, ლევან კალანდაძის შეფასებით, ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევის დასრულების შემდეგ, კონკურენციის სააგენტო, სავარაუდოდ, ფარმაცევტულ და ფქვილის ბაზარსაც გამოიკვლევს.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, ნავთობპროდუქტების ბაზრის მოთამაშეები კონკურენციის სააგენტომ კარტელურ გარიგებასა და ფასების ხელოვნურ ზრდაში ამხილა. 2009 წლიდან მოყოლებული, ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი ნავთობკომპანიები, კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლს არღვევენ. ამ მუხლის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, ან ისეთი შეთანხმებული ქმედების (შემდგომ – შეთანხმება) განხორციელება იკრძალება, რომლის მიზანია ან/და შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა, ასევე შესყიდვის, გაყიდვის ფასებისა და სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება).

კონკურენციის სააგენტოში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა დასრულდა. სააგენტოში ისიც დაგვიდასტურეს, რომ კომპანიებს შორის გარკვეული დარღვევები გამოვლინდა, თუმცა რა ტიპის დარღვევებში ამხილა სააგენტომ ნავთობკომპანიები, კონკრეტულად რომელი კომპანიები დაჯარიმდებიან ან რა ოდენობის თანხით, ეს დეტალები უახლოეს დღეებში გაირკვევა. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ბარაბაძე, რამდენიმე დღეში გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომლის საფუძველზეც სააგენტოს დასკვნა გასაჯაროვდება და კვლევის პრეზენტაცია გაიმართება.

საზოგადოება 20/30-ის ექსპერტმა **ლევან კალანდაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კონკურენციის სააგენტოს კვლევის თანახმად, ნავთობკომპანიებს შორის კარტელური გარიგება და საწვავის ფასზე ფარული შეთანხმება დაფიქსირდა: **„ჩემი ინფორმაციით, საუბარია ძალიან დიდ და ჩახლართულ სქემებზე, რომლითაც ნავთობკომპანიები საწვავზე მონოპოლიურად მაღალ ფასს აფიქსირებდნენ და ზემოგებას იღებდნენ. რეალურად, ეს განპირობებული იყო კონკურენციისა და ბაზარზე თავისუფალი დაშვების შეზღუდვით. ძალიან დიდი ხანია, საზოგადოებაში ასეთი ეჭვები არსებობდა, წლების მანძილზე, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, რადგან ჩვენი, როგორც ექსპერტების შეფასებები, მხოლოდ ზედაპირულ მონიტორინგს, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასთა შორის სხვაობას ეფუძნებოდა. კონკურენციის სააგენტოსგან განსხვავებით, ჩვენ ამ პრობლემის სიღრმისეულად შესწავლის საშუალება არ გვქონია. თავისთავად, ნავთობკომპანიებს შორის, კარტელური შეთანხმების აღიარება, საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან შემდგომი პროცედურის თანახმად, სასამართლო ამ ფაქტს ან დაადასტურებს, ან უარყოფს. თუ სასამართლო კარტელური შეთანხმების ფაქტს დაადასტურებს, ბრალეული მხარე დაჯარიმდება, ხოლო ჯარიმის ოდენობა საკმაოდ სოლიდური და უპრეცედენტოდ დიდი იქნება. ეს კი სხვადასხვა ბაზრის წარმომადგენლებისთვის კარგი მაგალითი იქნება. პირადად მე, სიამოვნებას ნამდვილად არ მანიჭებს ის ფაქტი, რომ ბიზნესი დაჯარიმდება, თუმცა არსებობს გარდაუვალი რეალობა — ვინც კანონის გვერდის ავლით ან გარკვეული მაქინაციების გზით ცდილობს, ერთი მხრივ, სახელმწიფო, ხოლო მეორე მხრივ მომხმარებელი დააზარალოს, ცხადია, კანონის წინაშე, პასუხი უნდა აგოს!“**

ლევან კალანდაძის განმარტებით, კონკურენციის სააგენტოს კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოში, რეალურად ამოქმედდება რეგულაციები, რაც ქვეყნის შიგნით, თავისუფალ კონკურენციას უზრუნველყოფს. მისი თქმით, სააგენტო მცირე მოცულობის კვლევებს აქვეყნებდა, მაგრამ ნავთობპროდუქტების, ფარმაცევტული და ფქვილის ბაზრების კვლევა თითქოს ტაბუირებული იყო: **„ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სახელმწიფო შეგნებულად აფარებდა ხელს ამ სფეროებს, მაგრამ ნავთობპროდუტების ბაზრის კვლევით, ასეთი ეჭვი საბოლოოდ გაქარწყლდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ეს კვლევა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და უკვე სამართლებრივი მექანიზმების დონეზე აღვასრულოთ კონკრეტული, პრობლემური ქეისის შესწავლა. ეს გარკვეული რეციდივი და პრეცედენტი გახდება სხვა სფეროებისთვის, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების პირობებში, კონკურენციის სააგენტო მავანს უფლებას არ მისცემს, ბაზარზე დომინანტის მდგომარეობა ბოროტად გამოიყენოს. ბუნებრივია, როდესაც ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევის შედეგები გამოქვეყნდება, კარტელური შეთანხმების კვანძის ჩაიხსნება და ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასებიც დარეგულირდება. თუმცა თეორიულად შესაძლებელია და ამის დასავლური გამოცდილება არსებობს, რომ ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებით განვითარდეს, ანუ ბიზნესმა პროტესტი ფასების ხელოვნურად გაზრდით გამოხატოს. ეს თემა მხოლოდ ერთი, კონკრეტული ქეისის კვლევით არ მთავრდება, დიდი პერიოდი იწყება, რომელიც მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის ეტაპს ითვალისწინებს“.**

კონკურენციის სააგენტო 2014 წლის აპრილში შეიქმნა. მართალია, ევროკავშირთან ასოცირების, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა, კონკურენციის სააგენტოს შექმნა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის არსებობა იყო, საზოგადოების ნაწილი ამ სააგენტოს შექმნას მაინც სკეპტიკურად შეხვდა. მათი პოზიცია გასაგებია, რადგან წინა წლების გამოცდილებით, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური რეგულირება და შესაბამისი სამსახური მხოლოდ ქაღალდზე, ევროპელი ექსპერტების თვალისასახვევად არსებობდა. ამიტომაც გაჩნდა ლოგიკური კითხვა და ეჭვები — შეძლებს კი კონკურენციის სააგენტო ამა თუ იმ ბაზრის სრულფასოვან კვლევას? გაბედავს, კარტელურ, მონოპოლიურ ან ოლოგოპოლიურ გარიგებებში ამხილოს სხვადასხვა ბაზრის უმსხვილესი მოთამაშეები?

ფაქტია, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლა არა თუ გაბედა, არამედ უმსხვილესი კომპანიები კარტელურ გარიგებაშიც კი ამხილა. ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამიერიდან, ეს სააგენტო ფარმაცევტულ და ფქვილის ბაზრებსაც შეისწავლის: **„ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებობს მოთხოვნა, შეკვეთა და გარკვეული მოლოდინიც კი. საქართველოში ბევრი პრობლემური ქეისია, მაგრამ ყველაზე მსხვილი, სწორედ, ნავთობპროდუქტების, ფარმაცევტული და ფქვილის ბაზრებია. თუმცა თუ პრაგმატულად ვიმსჯელებთ, უმჯობესია, ჯერ ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა დავასრულოთ თავისი სასამართლო პროცესით, კომპანიების დაჯარიმებით და მერე დავიწყოთ ამ ორი პრობლემური მიმართულების კვლევა. ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევა ნომერ პირველი გამოწვევაა, რამდენად სწორად წარიმართება ეს პროცესი, როგორც პოლიტიკური ნების, ისე კვალიფიკაციის, ანალიზის სიღრმისეულობისა და კომპეტენტურობის თვალსაზრისით, ამაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული, რამდენად შეძლებს კონკურენციის სააგენტო მუშაობის გაგრძელებას. რეალურად, კონკურენციის სააგენტოსთან ერთად, საზოგადოებაც ერთგვარ გამოცდას ვაბარებთ. ამ დღეებში, სოციალურ ქსელებში საზოგადოებრივ აზრს ვადევნებდი თვალს, სადაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება დაფიქსირდა. საზოგადოების ნაწილი კარგად შეხვდა ამ ფაქტს, მაგრამ მეორე ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი და სახელმწიფოს ბიზნესზე ზეწოლაში ადანაშაულებს. მათ მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, ამ პროცესს ბიზნესისა და ხელისუფლების დაპირისპირება მოჰყვეს, რადგან ნავთობპროდუქტების კომპანიების მფლობელები თუ წარმომადგენლები, ის ბიზნესელიტაა, რომლებსაც საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ“.**

ლევან კალანდაძის განმარტებით, თუ დასავლეთის ქვეყნების უახლეს ეკონომიკურ ისტორიას გადავხედავთ, ეკონომიკაში ნახტომისებური წინსვლა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა ბაზარზე არსებულ მონოპოლიურ კვანძებს ჩახსნის. მისი თქმით, თავისუფალი კონკურენტული გარემო ბაზრის აბსოლუტურად ყველა მოთამაშისთვის თანაბრად უნდა არსებობდეს და არა 5-6 მსხვილი კომპანიისთვის. „ვერსიის“ კითხვაზე, კონკურენციის სააგენტოს ამ კვლევის დასრულებით, აბარებს თუ არა მთავრობა და ზოგადად, საზოგადოება გამოცდას ევროპულ ღირებულებებზე, ლევან კალანდაძე დაგვეთანხმა. მისი თქმით, ქვეყანამ კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს, რომ ნებით უერთდება იმ ღირებულებათა კატეგორიას, რომლის ფუნდამენტი და პრინციპი თავისუფალი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაა.

„შემოდგომიდან ხელისუფლებას ჯოჯოხეთი უნდა მოვუწყოთ“

აკაკი ბობოხიძე ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საზღვარი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან კვლავ გადმოწეულია, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები — დამონტაჟებული, საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება აღშფოთების შესახებ — გავრცელებული, რუსულ-ქართული ურთიერთობები კი, ფაქტობრივად, დარეგულირებული — ყოველ შემთხვევაში, ასე რუსეთში ვიზიტადმყოფი ნინო ბურჯანაძე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინი და დუმის სპიკერი ფიქრობენ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიები არა, მაგრამ ალბათ, მისთვის სახეირო სხვა გარანტიები მაინც ჩამოიტანა ბურჯანაძემ კრემლიდან, რომელმაც იგი ერთადერთ პროქართველ პოლიტიკოსად შეაფასა. სად არის ამ დროს ოპოზიცია, ქვეყანაში მეორე ძალად შერაცხული ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ფაქტია, პროდასავლურ ფრონტზე ძველებურად არ თუ ვერ მუშაობს და როგორია მისი შეფასებები — „ვერსიას“ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ინტერვიუს ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი აკაკი ბობოხიძე აძლევს, მთელ ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს, საშემოდგომოდ ხელისუფლებისთვის ჯოჯოხეთის მოწყობას აპირებს, მისი შეფასებების ჩანაწერს უცვლელად, სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ.

— ბატონო აკაკი, როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძეს ხელ-ფეხი ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა გამოკითხვებმა გაუხსნა, სადაც მესამედი ამბობდა, რომ ევრაზიულ კავშირში შესვლა სურს? რა იყო მისი ვიზიტის მიზანი?

— მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების მოქმედებასთანაა კავშირში. იგი, თავისი უნიათობითა და უპასუხისმგებლობით, ქვეყანას არამარტო დასავლეთში ყოფნის შანსს უკარგავს, არამედ მოსახლეობაში დასავლური ცივილიზაციის მიმართ ნიჰილიზმსაც აჩენს. ბუნებრივია, ეს ხელ-ფეხს ყველა ავანტიურისტს უხსნის. ასე რომ, სახიფათო, ნინო ბურჯანაძე კი არა, დღევანდელი ხელისუფლებაა, რომელიც ქვეყნისთვის მავნებლურ ყველა პოზიციას გზას უხსნის. როგორც სხეული კარგავს იმუნიტეტს და დაუძლურებული ნებისმიერ ავადმყოფობას ემორჩილება, ასევეა ჩვენი ქვეყანაც — მან „ოცნების“ ხელში პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევებისადმი იმუნიტეტი დაკარგა... ამიტომაა საქმე ხელისუფლებაში და არა ბურჯანაძეში, რომელიც გაცხადებულად საუბრობს საკუთარ პოზიციებზე.

— მაგრამ მას არ შეუთანხმებია ვიზიტი ხელისუფლებასთან, არც „ოცნებას“ დაულოცავს მისთვის გზა, პირიქით, რამდენიმე მაღალჩინოსანმა ბურჯანაძის ვიზიტს უარყოფითი შეფასებაც მისცა.

— არა, არა! დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი ორიენტაცია არ გააჩნია და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება სურს. ასეთ პირობებში კი ქვეყანა იოლი ლუკმა სწორედ რუსეთისთვის ხდება, რომელიც კვლავ საქართველოს მთავარი პრობლემაა. ჰოდა, ეს მთავარი პრობლემა თავისი მიზნებისთვის ნინო ბურჯანაძეს გამოიყენებს თუ ირმა ინაშვილს ან სხვა ტიპებს, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. ნელ-ნელა პროცესებს საქართველოში რუსეთი მართავს და რუსული ლობი ძლიერდება ქვეყანაში.

— ეს იმიტომ, რომ თქვენ აღარ ხართ ხელისუფლებაში?

— ამიტომ არა, უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება უპასუხისმგებლოა. როგორ უარყოფითადაც უნდა შეაფასონ ბურჯანაძის ვიზიტი, ამის წინაპირობას მაინც თავად ქმნიან, თორემ ეს ვიზიტი ცალსახად უარყოფითი რომაა, ისედაც ყველამ იცის. ხელისუფლება იმაზეც კი არ რეაგირებს, როცა პროვოკატორები აზერბაიჯანთან ურთიერთობის დაძაბვას ცდილობენ და საქართველოს დროშას წვავენ სტადიონზე. ვისი უნიათობის ბრალია ეს ყველაფერი?! ამ დროს გამოდიან და ყველაფრის პასუხად ამბობენ, ნაცების მსგავსი პროვოკატორები ჰყავს აზერბაიჯანსაცო. თვითონ არიან ამ ქვეყნის უბედურება. როგორც ჩანს, ხვალ პრობლემა მარტო რუსეთთან კი არა, სხვა მეზობელ სახელმწიფოებთანაც გვექნება. აზერბაიჯანი ვინმეს რუსეთზე იოლად ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ ეგონოს. ჩვენთვის ერთიცა და მეორეც, თავისი მასშტაბებით, უდიდესი სახელმწიფოა და კარგად დაფიქრდნენ ქართველები — მეგობრებსაც მტრად ნუ აქცევენ.

— ანუ ამ, მართლაც სამწუხარო ინციდენტის გამო, რომელიც მატჩზე მოხდა, ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების დაძაბვას ელით და ამაში „ოცნებას“ ადანაშაულებთ?

— ამ ხელისუფლების ხელში ვხედავ საშიშროებას, რომ საქართველოს თავისი თავდაცვითი ზღუდეები სრულად შემოერღვევს! არ იქნება ეს ნინო ბურჯანაძე, იქნება სხვა. მთავარი ქვეყნის პოლიტიკური კლიმატია, რომელშიც ამ მავნებლებს შეუძლიათ არსებობა. არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ჩვენ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაში, მთავარია, გვყავდეს ხელისუფლება, რომელიც გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხებს.

— ამჯერად, „სამხრეთ ოსეთის“ საზღვარმა სოფელ ორჭოსანთან გადმოინაცვლა, გაჩნდა ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები. მაშინ თქვენ მითხარით, ექსხელისუფლებისა და ნომერპირველი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელმა, რა არის ადეკვატური პასუხი ამ რეალურ გამოწვევაზე?

> **— საქართველომ თავისი საგარეო-დიპლომატიური ბერკეტები უნდა გააააქტიუროს რუსეთის წინააღმდეგ, ეს ხელისუფლება კი რას პასუხობს — პროვოკაციას არ ავყვებითო. გადმოწიეს საზღვარი და არ ავყვეთო, კიდევ გადმოწიეს და კიდევ შევეგუოთ, პროვოკაციას არ ავყვეთ, როგორც 2008 წელს სააკაშვილიო. მაინტერესებს, სად გადის ზღვარი იმ მომენტამდე, როცა პროვოკაციას აღარ უნდა შევეგუოთ და უნდა ავყვეთ?! ასე თუ გაგრძელდა, ძალიან მალე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია უკვე ავტობანზე აღმოჩნდება. მაინტერესებს, სად გადის ზღვარი ამ ხელისუფლებისთვის და რას ვერ მოითმენს რუსეთისგან?!**

— თქვენი აზრით, უკეთესი იქნება, ყველა ასეთ პროვოკაციას 2008 წლის მსგავსად ვუპასუხოთ, რას მოვიგებთ ამით?

— ომის გარდა, უამრავი სხვა შესაძლებლობაა და თუ სხვა ყველა გზა ამოიწურა, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მთელი ისტორია ომია! რომ ვამბობთ, რომ არასდროს უნდა ვიომოთ და წინააღმდეგობა არც ერთ დამპყრობელს არ უნდა გავუწიოთ, მაშინ ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დავნებდეთ და დანებების პოლიტიკა გამოვაცხადოთ! სამარცხვინოა ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება საზღვრის გადმოწევაზე — თურმე, ელექტროელსაწყოებით კოორდინატებს აზუსტებენ. რის კოორდინატებს აზუსტებენ, ანუ უკვე ეგუებიან იმას, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოა და ახლა იმას ადგენენ, სად გადის საზღვარი „სამხრეთ ოსეთსა“ და საქართველოს შორის? ჩვენ გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები და ფუფუნება არ გვაქვს. მხოლოდ ის შეგვიძლია, ხელისუფლება ვამხილოთ და მოსალოდნელი შედეგების შესახებ გავაფრთხილოთ. „ოცნებას“ ეს არ აინტერესებს, ხალხი კი არ ვიცი, რას ფიქრობს. სანამ ყველას ოჯახში არ შემოვარდება რუსი, მანამ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია. ამ დროს ომი უკვე ყველგანაა და მაშინ არ იწყება და მთავრდება, როცა შენს სახლს ემუქრება დაბომბვა.

— გამოდის, ოპოზიცია უძლურია საგარეო ფრონტზე მუშაობისას. შესაბამისად, არც ბურჯანაძის ვიზიტებია საშიში და ქვეყნისთვის იმიჯის შემლახველი?

— უტრირებას ნუ გააკეთებთ, ოპოზიცია უძლური არაა. უბრალოდ, მისი მონაწილეობა ამ სფეროში შეზღუდულია. ჩვენი წევრები საერთაშორისო დელეგაციებში მწვავე საკითხებს ყველგან და ყოველთვის სვამდნენ. „ოცნება“ კი აცხადებდა, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის საუბრის თემა საქართველო არ უნდა იყოს. ეს იმ პოზიციას ჰგავს, მაძღარ დათვთან ერთად გალიაში იჯდე და იმ იმედით ეფერებოდე, რომ მოშივდება, არ შემჭამსო. მაინც შეგჭამს! დღეს კი რუსეთი მოშიებული, გაავებული, გაუმაძღარი დათვია და აუცილებლად შეგვჭამს. ჩვენი საგარეო იმიჯი კარგა ხანია დაზარალებულია და საქართველოს მიმართულებით ევროპა უკვე დიდ კითხვის ნიშანს სვამს. როცა მოსკოვში ბურჯანაძის სიარულზე ვსაუბრობთ, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ოცნების“ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებიც ჩადიოდნენ კრემლში და პუტინზე არანაკლებ ოდიოზურ ფიგურებს ხვდებოდნენ. მათ შორის, პარლამენტის ვიცესპიკერი ზვიად ძიძიგური და დეპუტატი კობა დავითაშვილი. თუმცა ეს ღია პოლიტიკა ქვეყნისთვის გაცილებით უხიფათოა, ვიდრე „ოცნების“ დაფარული პოლიტიკა. იგი სიტყვით დასავლეთისაა, საქმით კი რუსეთის. ამის კი. მანამ არ შემეშინდება, ვიდრე საქართველოს მოსახლეობა არ გადაწყვეტს, რომ რუსეთისკენ უნდა ვიაროთ.

— მაგრამ, თუ რუსული ლობი ძლიერდება და ხელისუფლებაც რუსეთისაა, ამის გადაწყვეტას ხელს რა უშლის ან ვინ, თქვენ?

> **— რაც უნდა, ის გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა. ერთხელაც აღმოვაჩენთ, რომ ბოლომდე ნაგავში ვართ და ჩვენს ნოსტალგიებში არსებული რუსეთი ის რუსეთი აღარ არის. ქართველებს, საბჭოთა თაობას ისევ 37-მანეთიანი ბილეთები ახსოვს მოსკოვისკენ და 10-მანეთიანი ბოზები. თუმცა ისიც კარგად დაიმახსოვრონ, რომ რუსეთში 10-მანეთიანი ბოზები აღარ არსებობენ და ვისაც ასე ახსოვს, იმას ბოზებში სიარულის თავიც აღარ აქვს... ამიტომ ამაზე ფიქრს თავი დაანებონ და კარგად დაფიქრდნენ, სად არის ჩვენი მომავალი თაობის ადგილი — რუსეთში თუ ევროპაში! ჩვენი შვილებისთვის რუსეთი უცხო ქვეყანაა და შევეშვათ ძველი ნოსტალგიებით ცხოვრებას.**

რაც შეეხება ბურჯანაძეს, დარწმუნებული ვარ, თავადაც არ სჯერა იმის, რასაც ამბობს. უბრალოდ, ცდილობს, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას შეეკრას. ეს წინასაარჩევნო ფანდია. ეს ხელისუფლებასაც აწყობს და ეტყობა, იმედი აქვს, რომ ბურჯანაძე-ინაშვილებთან ერთად, ახალი, 50%-იანი უმრავლესობის მოპოვებას შეძლებენ. მე კი იმედი მაქვს, ქართულ პოლიტიკურ ძალებს იმის გონიერება ეყოფათ, შემოდგომიდან ხელისუფლებას ჯოჯოხეთი მოუწყონ! თუნდაც საარჩევნო კოდექსის თემაზე. „ოცნება“ ნებით არაფერს დათმობს.

— მერე, თქვენ იქნებით დანარჩენი ოპოზიციის გვერდით?

— ნაციონალური მოძრაობა მზადაა, იყოს საერთო ოპოზიციურ გაერთიანებაში! პრობლემა ჩვენში კი არა, სხვა ოპოზიციურ პარტიებშია და თუ ისინი რეალური ბრძოლისთვის არიან მზად, ჩვენ მათთან ერთად ვიქნებით.

ვერსიანიუსი

საქართველოში დონალდ ტუსკის ვიზიტი გადაიდო

ევროპული საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, პრეზიდენტ დონალდ ტუსკის ვიზიტების განრიგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოში ვიზიტი არ ფიგურირებს. ევროსაბჭოს პრესსამსახურის განმარტებით, ევროსაბჭოს პრეზიდენტის, დონალდ ტუსკის ვიზიტი საქართველოში, ევროკავშირის საგანგებო სამიტის დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელების გამო გადაიდო. პრესსამსახურის ინფორმაციით, დონალდ ტუსკს მუშაობის გრაფიკი შეეცვალა, რის გამოც ჯერჯერობით უცნობია, როდის ეწვევა იგი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტის დონალდ ტუსკის ვიზიტის გადადებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი ვიზიტის ახალი თარიღი მალე გახდება ცნობილი: **„საბერძნეთში მნიშვნელოვანი განხილვა მიმდინარეობდა. დონალდ ტუსკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მისაღები და იმედი გვაქვს, ახალ თარიღს დავნიშნავთ. ეს თარიღი შორს არ არის“.**

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, დავით დონდუამ დიპლომატებთან შეხვედრის წინ განაცხადა, რომ დონალდ ტუსკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მისაღები და ბრიუსელში მისი ყოფნა აუცილებელია.

დავით დონდუას განცხადებით, ტუსკის საქართველოში ვიზიტის თარიღი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი: **„ვიზიტი გადაიდო, არ გაუქმებულა. იმ მოვლენების ფონზე, რაც ხდება ევროპაში, საბერძნეთთან დაკავშირებით, ტუსკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მისაღები, ბრიუსელში მისი ყოფნა აუცილებელია. ამის შესახებ სამდივნოდან გვაცნობეს. უახლოეს დღეებში შეთანხმდება ახალი თარიღი, რომელიც ცნობილი ახლო მომავალში გახდება“.**

ევროსაბჭოსა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი უკვე შედგა და გაირკვა, რომ დონალდ ტუსკი მზადაა, ჩვენს ქვეყანას უახლოეს მომავალში ესტუმროს.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკის საქართველოში ვიზიტი 14-16 ივლისს იყო დაგეგმილი.

„პირველი“

პატიმარი №0578

„მამაშა“ მარინას თურქული აღზევება

ტრეფიკინგის მსხვერპლი 24 ქალი და თურქ კაცებზე მიყიდული საქართველოს მოქალაქეები

დამნაშავე კაცების რიცხვი ქალების რიცხვზე ბევრად მეტია, მაგრამ თუ მონაცემებს გადავხედავთ, ინტერპოლით საქართველოს არაერთი მოქალაქე ქალბატონი იძებნება. ისინი, ძირითადად, თაღლითობის ბრალდებით არიან ინტერპოლის სიაში, მაგრამ რეალურად, ქალბატონები უფრო მძიმე დანაშაულისთვისაც იძებნებიან. რამდენიმე კვირის წინ, ჩინეთში ერთმა ქალმა კაცს, რომელმაც გააუპატიურა, მაკრატლით სასქესო ორგანო მოაჭრა და თავს უდანაშაულოდ ცნობს, ჩვენთან კი...

წლების წინ, საქართველოს ერთ-ერთი რაიონის მაცხოვრებელმა ქალბატონმა მარინა გ-მ თურქეთში დასაქმების იმედად 24 ქალი წაიყვანა. აქედან საქართველოში მალევე დაბრუნება მხოლოდ ერთმა, აზერბაიჯანელმა სახიბამ შეძლო და მაშინვე პოლიციაში მივიდა, მარინა „მამაშაა“, იქ ჩასულებს უბრალოდ გვყიდდა თურქებზე და შემდეგ არალეგალურ ბორდელებში გვამუშავებდნენო. პოლიციამ საქმე აღძრა, თუმცა იმის გამო, რომ მარინა საქართველოში არ იყო, საქმე წინ ვერ წავიდა და შემდეგ, ფაქტების არარსებობის გამო, დაიხურა კიდეც. პრინციპში, საქმის დახურვას ხელი იმანაც შეუწყო, რომ საქართველოში დაბრუნებულმა კიდევ ერთმა ქალმა, მზია ჩ-მ პირდაპირ განაცხადა, ვისაც არ უნდოდა ბოზობა, არავინ არაფერს აძალებდა. მეც არავინ არაფერი დამაძალა, ბოლოს კი გავთხოვდიო, თქვა მზიამ და ქმარიც ყველას გააცნო. ერთი ეგ იყო, მზიას საქართველოშიც ჰყავდა ქმარი და ორი შვილი, თუმცა ქმარ-შვილმა თურქი უპრობლემოდ მიიღო და მისგან ნაჩუქარი ავტომობილიც მშვიდად შეირგეს...

ეს ყველაფერი კი მას შემდეგ გაგვახსენდა, რაც წინა კვირას მარინა რაიონში გამოჩნდა და... შუა ქუჩაში სახიბა დაეტაკა, თმით ითრია, თუმცა პოლიციამ სწორედ სახიბა დააჯარიმა და კატეგორიულად გააფრთხილა, ან ფაქტებით გველაპარაკე, ან დაგაპატიმრებთო. სახიბამ ფაქტები ვერ მოიშველია, რადგან თურქეთიდან წვალებით დაბრუნებული ქალები სახელს გაუფრთხილდნენ და დუმილი არჩიეს, თუმცა...

„შენ მოგიყვები და დაწერე. ჩემი სახელი პირდაპირ დაწერე, თუ გინდა, გვარიც დაწერე. მოვკლავ მაგ მარინას ადრე თუ გვიან და სიმართლე ყველამ უნდა იცოდეს“, — ასე დაიწყო სახიბამ საუბარი წლების წინ მომხდარი და ამბის მოყოლა.

„თურქეთში რომ წაგვიყვანა მარინამ, იმავე დღეს დაიბარა ვიღაც კაცები, იქვე, მაგის თვალწინ შემოგვახიეს ტანსაცმელი და ისე მარტივად გვიყიდეს, თითქოს ბაზარში ხილს ყიდულობდნენ. მე ვიღაც მსუქან კაცს ვერგე და წამიყვანა სადღაც ქოხში. ფუტკარი ჰყავდა, იმას უვლიდა და დილიდან საღამომდე ხან მცემდა და ხან მხმარობდა. იმასაც მეუბნებოდა, რომ მოგკლა, არავინ არაფერს მეტყვის, შენ აღარ არსებობო. ძაღლს რომ დააბამ ჯაჭვზე, ისე ვყავდი დაბმული, ოღონდ ჯაჭვი ფეხზე მეკეთა. ვეხვეწებოდი, ბანაობის შესაძლებლობა მაინც მომეცი, შენთვისაც კარგია-თქო, მაგრამ არ აინტერესებდა, ჭუჭყიანი ვიყავი თუ სუფთა. შემოვიდოდა, ჩათქვლეფდა საჭმელს, მერე იატაკზე დამაწვენდა და თუ წინააღმდეგობას გავუწევდი, სახეში მცემდა. ერთ დღეს თავისი მეგობრები მოიყვანა. ათზე მეტნი იქნებოდნენ. დათვრნენ და მერე მე მომდგნენ. გონებას ვკარგავდი და აზრზე რომ მოვდიოდი, ვიღაც მაწვა ზემოდან. სახეები იცვლებოდა, ჩემი მდგომარეობა — არა...

წელიწადზე მეტ ხანს ასე ვიყავი და მერე იმ კაცმაც გამყიდა. უკვე ოფიციალურ ბორდელში გადამიყვანეს. არავინ მეკითხებოდა, რა მინდოდა და არ მინდოდა. ვიღაც მოდიოდა, ფულს გადაიხდიდა და შეეძლო, ჩემთვის ყველაფერი ექნა. თავის მოკვლა ვერ შევძელი, ნებისყოფა უნდა მაგასაც თურმე...“

„სულ მგონია, რომ გაქცევა შეიძლება. სულ მგონია, რომ ვიღაცისთვის რაღაცის თქმა შეიძლება, ტელეფონამდე მისვლა და ა.შ. რატომღაც ისიც მგონია, რომ თუ მოინდომებ, ვერაფერს გაიძულებენ...“

„მეც მასე მეგონა, როცა მივდიოდი, ცუდზეც ხომ ვიფიქრე და როგორ უნდა იყოს, რომ რამე მაიძულონ-მეთქი. მაგრამ იქ რომ ჩადიხარ, არავის იცნობ, რომ გცემენ, სხეულზე გამდნარ ცელოფანს გაწვეთებენ და ხვდები, შენი სიცოცხლე არაფრად უღირთ, ვერაფერს ახერხებ. ტელეფონი არ იყო იმ ოთახში და ოთახიდან ვერ გავდიოდით, კარშიც კაცი იდგა და კეტავდნენ კიდეც. კლიენტს კიდევ რომ უთხრა დამეხმარეო, გამორიცხულია. იმანაც იცის, რომ იქ უკანონოდ ხარ. იცის, რომ თავადაც დანაშაულს სჩადის, რადგან პრაქტიკულად, გაუპატიურებს და რას იზამს, პოლიციაში მივა და დამიჭირეთო, ეტყვის? სისულელეა, ვინმეს რომ შეუყვარდე. ეგ მარტო ფილმებშია. მოდის, ძირითადად, მთვრალი მასა, გჯიჯგნის და მეორე დღეს შენი სახეც აღარ ახსოვს, ვის რაში სჭირდები“...

„და როგორ გამოიქეცი?!“

„არსადაც არ გამოვქცეულვარ. იქ ბორდელების რამდენიმე ტიპია. იმ კაცთან რომ ვიყავი, მერე ხომ გამყიდა? ცოტა პრესტიჟული ბორდელი იყო, შემეხედებოდა ცოტა... მერე უფრო დაბალი დონის ბორდელში გამყიდეს, მერე კიდევ, კიდევ და ბოლოს, როცა ძვალი და ტყავი დავრჩი და არცერთი კბილი აღარ მქონდა, მუწუკები გამიჩნდა და გალეშილი კაციც კი აღარ მეკარებოდა, ამომარტყეს წიხლი და გამომაგდეს გარეთ. უფულოდ, უსაბუთოდ და არაფრის იმედად...“

„და რა ქენი?!“

„ნუ მომაყოლებ იმას, რის ფასად ჩავედი რიზეში. მარინა სწორედ რიზეში დავტოვე. იმავე შენობაში იყო დაბრძანებული. მოწყალება ვთხოვე და ვერ მიცნო. მერე თმაში ვწვდი და რომ ატყდა ერთი ამბავი, პოლიცია მოვიდა. წამიყვანეს და დაწვრილებით რომ მოვუყევი ყველაფერი, დაუძახეს მარინას, ჩააბარეს ჩემი თავი და რაც გინდა, ის უქენი, ოღონდ მშვიდად და წყნარადო. მეგონა, პოლიციასაც უხდიდა, მაგრამ მერე გავარკვიე, ფულს კი არ აძლევდა, პოლიციის უფროსთან გოგოები მიჰყავდა. წამიყვანა, ბოდიშები მიხადა, მომატყუესო, მოგხედავო, დაგაბრუნებო და მეც სხვა გზა არ მქონდა, ველოდი, როდის მომცემდა პასპორტს, რომ სახლში დავბრუნებულიყავი და მისი ოჯახის წევრებისთვის მეთქვა ის, რაც სათქმელი იყო, ამბავი ჩამომეტანა აქამდე. ისიც მითხრა, ასე ხომ არ წახვალო და კბილები გამიკეთა, კარგად მაჭმევდა და როცა ადამიანს დავემსგავსე... ისევ გამყიდა... საჭმელში ჩამიყარა რაღაც, დამაძინა და რომ გავიღვიძე, ვიღაცის სახლში ვიყავი ისევ ისე დაბმული. თითქმის იგივე გზა გავიარე, ისევ ვიღაცის ხელში, მერე ისევ ბორდელები და ისევ მარინას ხომ არ მივადგებოდი?! როგორც იქნა, ჩამოვედი აქამდე და პირდაპირ პოლიციაში მივედი, მაგრამ მაშინ ყური არავინ შეიბერტყა. არ მრცხვენოდა და ყველას ვუყვებოდი მარინას ამბავს, მამამისიც ვნახე, დედამისიც, მაგის ბიჭიც და ვუთხარი. მამამ და ბიჭმა არ დაიჯერეს, დედას კი ჩემი მონაყოლის ღამე გული გაუსკდა და მოკვდა. მეგონა, დედის გასვენებაზე მაინც ჩამოვიდოდა მარინა, მაგრამ არ ჩამოეთრია. ახლა ჩამოვიდა და პოლიცია ფაქტებს მთხოვს. ფაქტი არ ვარ ამხელა ქალი? ნამიყვანონ თურქეთში, იმ სახლსაც ვანახებ, სადაც მარინა ცხოვრობდა, იმ არალეგალურ ბორდელებსაც და იმ კაცსაც, პირველად ვისაც მიმყიდა. მეტი რა ვქნა, მითხარი?!“

ამ ისტორიის მოსმენის შემდეგ მარინა ვნახე. პრინციპში, კი არ ვნახე, შემთხვევით შემეხვდა ქუჩაში... ლაღად მოდიოდა, ფიქრებში ვიღაცას უღიმოდა და როცა მივესალმე და თავი გავახსენე, მეც გამიღიმა, როგორ შეცვლილხარო მითხრა და...

„იცი მარინა... სახიბა იყო წინა დღეს ჩემთან, ასე მითხრა, მარინა მამაშობდაო და საზარელი ისტორიაც მომიყვა...“

„ავადმყოფია ეგ ქალი, ყველაფერს იგონებს, დაიკიდე რა. ის მითხარი, როგორ ხარ, სად მუშაობ?!“

„გაზეთში ვმუშაობ და სახიბას მონაყოლის დაწერას ვაპირებ...“

„რაა?! არ გაგიჟდე, არ გადაირიო, გიჟია-მეთქი ეგ ქალი, ჯანმრთელობის ცნობას არ მისცემენ, რომ მოინდომოს...“

„ჰო, რა ვიცი... გიჟის არაფერი ეტყობა და დავწერ მაინც... თუ სურვილი გექნება, კი მეტყვი მერე შენს აზრს და იმასაც დავწერ...“

„მეტი საქმე არ მაქვს, ქუჩის ქალივით ვიჭორაო...“, — თქვა მარინამ და წავიდა. შემდეგ ტელეფონზე დარეკა და... „არაფერი დაწერო და ხომ იცი, ვალში არ დაგრჩები. შევხვდეთ მერე და ვისაუბროთ, როგორ ვუშველოთ ამ საქმეს“, — ჟღურტულებდა ტელეფონში მარინა, თუმცა...

ვერსიანიუსი

პროკურატურამ მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის კიდევ 5 ფაქტი გახსნა

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ, მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 5 ფაქტია გახსნილი.

როგორც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კოკა კაციტაძემ განაცხადა, ქონების იძულებით ჩამორთმევაში მხილებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის 3 ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი, რის შედეგადაც დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდებათ უკანონოდ ჩარმორთმეული 6 ავტომანქანა და 1 უძრავი ქონება — მიწის ნაკვეთი.

კაციტაძის ინფორმაციით: **„ჩატარებული გამოძიების შედეგად, მხილებულ იქნა შსს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს ყოფილი უფროსი დავით სიდამონიძე, რომელიც თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში სისტემატურად ახდენდა მოქალაქეთათვის ქონების ჩამორთმევას. სხვადასხვა დროს, 2010-2011 წლებში, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციას დაკავებული ჰყავდა ბრალდებულები: გიორგი რეხვიაშვილი, პარსამ ზალიანიანი და შმაგი რატიანი. შსს-ს მაღალჩინოსანი დავით სიდამონიძე იბარებდა ბრალდებულის ოჯახის წევრებს და, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, მოითხოვდა პოლიციისა და პროკურატურისთვის ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდებოდა. პოლიციის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ამგვარი ზეწოლის შედეგად, ბრალდებული გიორგი რეხვიაშვილის ოჯახის წევრებმა 28 000 აშშ დოლარად შეიძინეს „მერსედეს-ბენც ML 350“ ავტომობილი, ხოლო 30 000 აშშ დოლარად „ჰიუნდაი სონატა“. ბრალდებულ შმაგი რატიანის და პარსამ ზალიანიანის ოჯახის წევრებმა კი „ფოლკსვაგენის“ ცენტრში შეიძინეს 61 200 ლარად და 31 000 აშშ დოლარად ღირებული „ფოლკსვაგენ პასატის“ ფირმის ორი ავტომანქანა. მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდა საპროცესო შეთანხმებები ბრალდებულებთან და მათ დაეკისრათ პირობითი მსჯავრი და ჯარიმა. ავტომანქანები შსს-ს და პროკურატურის სახელზე გადაფორმდა და მისით პოლიციისა და პროკურატურის მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ. დავით სიდამონიძემ სრულად აღიარა მოქალაქეთათვის ქონების ჩამორთმევის სამივე ეპიზოდი და განაცხადა, რომ ბრალდებულის ოჯახის წევრებისგან ძვირადღირებული ავტომანქანების მოთხოვნა, მათი ჩუქების გზით მიღება, იყო იმ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, რითაც ბოროტად სარგებლობდნენ პოლიციისა და პროკურატურის თანამდებობის პირები. ასევე, მოქალაქის საკუთრების უფლების ხელყოფისთვის, ჩვენს მიერ მხილებულ იქნა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირი, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულ გივი თოდაძის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას, გასცა მითითება, კუდ-ის ბაზაზე გადაეყვანათ ბრალდებულის კუთვნილი „რენჯროვერისა“ და „კრაისლერის“ მარკის ავტომობილები, რომელთა დათმობის სანაცვლოდ, შემდგომში ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მას დაეკისრა პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 195 000 ლარი. ჩამორთმეული ავტომანქანებიდან, ერთ-ერთით, კერძოდ კი „კრაისლერის“ მარკის ავტომანქანით სარგებლობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი დავით ახალაია. დანაშაულში მხილებული მესამე საჯარო მოხელე კი წარმოადგენს საქართველოს მთავარი პროკურატურის ყოფილ თანამდებობის პირს, რომლის უკანონო დავალებისა და მოთხოვნის შედეგად, საპროცესო შეთანხმების გაფორმების და საპატიმრო დაწესებულების დატოვების სანაცვლოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულმა ირაკლი მახარაშვილმა დათმო და მიატოვა სოფელ დიღომში მდებარე 357 000 დოლარის ღირებულების 1020 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ჩვენ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეგნებულად არ ვასახელებთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და მთავარი პროკურატურის ყოფილი თანამდებობის პირების ვინაობას, რათა ამით ხელი არ შეეშალოს ამ დანაშაულში ჩართული სხვა საჯარო მოხელეების, მათ შორის, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ დაწყებულ გამოძიებებს, რომლის შედეგებიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება გამოძიების დასრულებისთანავე“. გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, სამივე საჯარო მოხელის მიმართ, გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება“.**

ახალი დეპარტამენტის მიერ გახსნილი ხუთივე დანაშაულებრივი ფაქტის შედეგად, აღდგენილი იქნება 5 დაზარალებულის დარღვეული უფლება. დაზარალებულებს პროკურატურის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე, კერძოდ შსს, პროკურატურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბალანსზე რიცხული უკანონოდ ჩარმორთმეული და დათმობილი 6 ავტომანქანა და ერთი უძრავი ქონება. ქონების დასაბრუნებლად, პროკურატურამ ეკონომიკისა სამინისტროს უკვე მიმართა.

„პირველი“

თბილისის რომელი ქუჩები გამოცხადდება სამშენებლო ნებართვისგან თავისუფალ ზონად

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ერთი თვე 13-14 ივნისის თბილისის ტრაგედიიდან. უპრეცედენტო სოლიდარობა, მაშველებისა და პატრულის თანამშრომლების თავგანწირვა, ერთ მუშტად შეკრული მოხალისეების დაუღალავი შრომა, რიგითი თბილისელების სურვილი, რათა ისე დახმარებოდნენ სტიქიით დაზარალებულებს, როგორც შეეძლოთ... უფასო ტაქსი მოხალისეებისთვის, სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც ექსკურსიები და ბანკეტები გადადეს — დღეს ეს ყველაფერი ცრემლიანი, წვიმიანი, ტრაგიკული, ტკივილიანი, მაგრამ საოცრად ღირსეული წარსულია... რა ვითარებაა თბილისის ტრაგედიიდან ერთი თვის თავზე? სტიქიით დაზარალებულთა დახმარების რა გეგმა შეიმუშავა თბილისის მერიამ? გადასცეს თუ არა საცხოვრებელი ბინები დაზარალებულებს? „ვერსიას“ თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ღლაძვინაძე ესაუბრება, რომელმაც ინტერვიუ 13-14 ივნისის ტრაგედიის შეფასებით დაიწყო.

— ამ ერთ თვეში, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლებით უზრუნველყოფა შევძელით, გაწმენდითი სამუშაოები დავასრულეთ, გამაგრებითი სამუშაოები დავიწყეთ. უახლოეს პერიოდში, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის აღდგენასაც დავიწყებთ. ვფიქრობ, სტიქიით დაზარალებულ ადამიანებს მაქსიმალურად დავეხმარეთ, მაგრამ ეს პროცესი დღესაც გრძელდება და ვეცდებით, ისეთი პირობები შევუქმნათ, სტიქიით მიყენებული ზარალის ბალანსირება შეძლონ. დღეს, 15 ივლისს, თბილისის მერიის ორგანიზებით, მარათონი გაიმართება, რომლის საშუალებით მიღებული შემოწირულობები, სტიქიის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებს მოხმარდება. თუ მარათონზე საკმარისი რესურსი შეგროვდება, იმ ავტომფლობელებსაც დავეხმარებით, რომელთა ავტომობილებიც სტიქიის ზონაში დაზიანდა, მაგრამ დაზღვეული არ ყოფილა. გარდა ამისა, მუდმივად ვმუშაობთ ამ ოჯახებთან, მათი ბავშვები სხვადასხვა ექსკურსიებზე დადიან, დასვენების სხვადასხვა პროექტს ვთავაზობთ, რათა ამ ადამიანებმა სტიქიის შემდეგ რეაბილიტაცია შეძლონ.

— ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს „სტიქიით დაზარალებულთა საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრისის დათმობისა და პირველადი საჭიროების ნივთებისთვის თანხის ანაზღაურების“ სამპუნქტიანი გეგმა, რომელიც თბილისის მერიამ საკრებულოს წარუდგინა დასამტკიცებლად?

— ეს გულისხმობს სტიქიით დაზარალებული მოქალაქეების ორ კატეგორიად დაყოფას. პირველ კატეგორიაში შედიან ადამიანები, რომლებმაც საცხოვრებელი დაკარგეს ან მათი საცხოვრებელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ აღდგენას არ ექვემდებარება. მეორე კატეგორიაში კი არიან ადამიანები, რომელთა საცხოვრებელი აღდგენას ექვემდებარება და თუ ისინი განაცხადს გააკეთებენ, რეაბილიტაცია განხორციელდება. „საცხოვრისით უზრუნველყოფის“ ნაწილში, ჩვენ შევთავაზეთ მოდელი, რომელიც სულადობრივი პრინციპით, კონკრეტული საცხოვრებელი ფართის შესაბამისი ღირებულების ადეკვატური თანხის გაცემას გულისხმობს. სულადობის მიხედვით, რამდენიმე ვარიანტი გვაქვს: ორსულიან ოჯახს 45 კვ/მ-ის, სამ-ოთხსულიანს — 65 კვ/მ-ის, ხუთ-ექვსსულიან ოჯახს — 90 კვ/მ-ის, ხოლო შვიდ და მეტსულიან ოჯახს — 110 კვ/მ-ის ფართობის საცხოვრებელს გადავცემთ. თანხობრივად ეს შემდეგნაირადაა განსაზღვრული — მათი საცხოვრისიდან კილომეტრნახევრიან რადიუსში, სტიქიამდე არსებული საბაზრო ფასი, შესაბამისი ფართის მოცულობაზეა გამრავლებული. პირობითად, თუ ადამიანი აირჩევს პირველ ვარიანტს, ანუ ორი სული ცხოვრობდა 45 კვ/მ. ფართობში და „საცხოვრისით უზრუნველყოფის“ მიღება სურთ, ამ 45-ს მათი საცხოვრებლიდან კილომეტრნახევრიან რადიუსში არსებულ საბაზრო ფასზე გავამრავლებთ და სწორედ ასე განვსაზღვრავთ მათი საცხოვრებლის ღირებულებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა შესაბამისი კვლევის შედეგად, რისკის ზონა დადგინდება, ამ ზონაში მცხოვრებმა საცხოვრებელი უნდა დათმოს, მაგრამ პირობითად, თუ მისი ბინა უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენ ავუნაზღაურებთ სულადობის მიხედვით, სხვაობა ამ ორ ციფრს შორის, მისი ბინის დათმობის შემდეგ დაბალანსდება. ამ პერიოდამდე ეს აქტივი, რომელიც დაზიანებული ან განადგურებულია, მის საკუთრებაში რჩება.

მეორე პუნქტის მიხედვით, სტიქიით დაზარალებულ ადამიანს შეუძლია უარი თქვას სულადობის მიხედვით ანაზღაურებაზე და პირდაპირ დათმოს საკუთარი საცხოვრებელი. ეს ნიშნავს, რომ რაც ღირდა მისი უძრავი ქონება სტიქიამდე, ამ ღირებულების ადეკვატურ თანხას განვსაზღვრავთ, რომლის გადახდის შემდეგ, ის დათმობს ტერიტორიას, სადაც ადრე ცხოვრობდა. ამ თანხით კი შეუძლია, ისეთი ბინა შეიძინოს, როგორიც მას სურს. ორივე შემთხვევაში, ჩვენს მიერ შემუშავებული პრინციპი, მათი ქონების საბაზრო ღირებულებით განსაზღვრას ეყრდნობა და ადამიანს უფლებას ანიჭებს, მისთვის მომგებიანი ვარიანტი შეარჩიოს.

რაც შეეხება ამავე გეგმის მესამე ნაწილს, პირველადი საჭიროების ნივთების შესაძენი თანხის მოცულობაა. აქაც სულადობრივი გზით წავედით და სხვადასხვა პაკეტი შევქმენით. სულადობის მიხედვით, პაკეტების მოცულობა 8 000 ლარიდან, 10 500 ლარამდე განვსაზღვრეთ. ამ პაკეტებში შედის პირველადი საჭიროების ნივთები. მაგალითად, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, თეთრეული, ჭურჭელი, 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საჭირო და სხვა ნივთები. მთლიანობაში, „საცხოვრისით უზრუნველყოფის“ ნაწილში, პირველი კატეგორიის ოჯახები აირჩევენ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთს და დამატებით, პირველადი საჭიროების ნივთების შესაძენ თანხასაც მიიღებენ. ესაა ჩვენი გეგმის საბოლოო ვარიანტი, რომელიც თბილისის საკრებულომ დაგვიმტკიცა და ეს წესი უკვე მოქმედებს.

— დახმარების გაცემა უკვე დაიწყო?

— დიახ, ერთი კვირაა. სპეციალური პუნქტიც გაიხსნა, სადაც ხელშეკრულებები ფორმდება. პრაქტიკულად, ყველა სახლი, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ შეაფასა. ამ გეგმის მიხედვით, ჩვენი წარმომადგენლები დამტკიცებულ ვარიანტებს სთავაზობენ დაზარალებულებს და მათთვის სასურველი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან ხელშეკრულებები ფორმდება. სპეციალური ანგარიში უკვე შეიქმნა, სადაც შესაბამისი მოცულობის თანხა გადაირიცხება და ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში, დაზარალებული თანხას მიიღებს. როგორც ვიცი, რამდენიმე შეთანხმება უკვე გაფორმდა.

— ტრაგედიის პირველივე დღეებში, რამდენიმე კომერციულმა ბანკმა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად ანგარიში გახსნა, სულ რამდენი ანგარიში გაიხსნა სტიქიით დაზარალებულთათვის?

— სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, დაახლოებით, 7 კომერციულ ბანკში გაიხსნა ანგარიშები. გარდა ამისა, არსებობს მერიის სპეციალური და ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო ანგარიშები. საბოლოოდ, ამ ანგარიშებზე დაგროვილი თანხა თავს მოიყრის თბილისის მერიის შესაბამის ანგარიშზე, რომელიც გაიწერება შესაბამის მუხლებში და სწორედ ამ მუხლების მიხედვით დაიხარჯება. სახელმწიფო რესურსებიდან მოძიებული თანხები ძირითადად ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდება. რაც შეეხება კერძო კომპანიებიდან შემოწირულობებს, რაც დაახლოებით, 11 მილიონ ლარამდეა, ეს უშუალოდ ამ ადამიანების „საცხოვრისით უზრუნველყოფასა“ და პირველადი საჭიროების ნივთების შეძენას მოხმარდება. ამ წესის მიხედვით, ოჯახებს, რომლებიც პირველი კატეგორიის დაზარალებულები არიან, ბევრად მეტი თანხა, 18 მილიონი ლარი სჭირდება. როგორც გითხარით, მხოლოდ კერძო კომპანიების მიერ, 11 მილიონ ლარამდეა მობილიზებული. თუმცა დარჩენილი 7 მილიონი ლარის მოსაძიებლადაც ვმუშაობთ და ვფიქრობ, საჭირო ოდენობის თანხა შეგროვდება.

დასასრული მე-8 გვერდზე

პრემიერ-მინისტრმა 13 ივნისის სტიქიის დროს მომუშავე პირებს მადლობა გადაუხადა

ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას. ასევე, დედაქალაქის მერს, მერიის სამსახურებს, ჟურნალისტებს და მოხალისეებს.

პრემიერ-მინისტრმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“, 13 ივნისის სტიქიის ამსახველი ფოტო გამოფენა გახსნა, სადაც ყველა უწყების, ყველა თანამშრომლის განსაკუთრებულ თავდადებასა და ღვაწლზე ისაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სტიქიის დროს კიდევ ერთხელ გამოჩნდა ერთმუშტად შეკრული ქვეყანა და ის საქართველო, რომელიც ყველას ეამაყება: **„მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც პირნათლად ასრულებდა თავის მოქალაქეობრივ ვალს, სამსახურეობრივ მოვალეობას და ხალხს, პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანას, დედაქალაქს ეხმარებოდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა სამაშველო სამსახურს. რომ არა ამ ბიჭების თავგანწირვა, მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა. მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ მათ რიგებში გმირები მსახურობენ. მათ ათეულობით ჩვენი მოქალაქე გადაარჩინეს, წარმოუდგენელი რისკის ფასად. მათ არც უფიქრიათ საკუთარ სიცოცხლეზე. სამწუხაროდ, ჩვენ დაგვეღუპა ერთი მაშველი — ზურაბ მუზაშვილი. ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმ მძიმე წუთებში, სამინისტროები, მერიის უწყებები, შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდნენ და გამოავლინეს მაქსიმუმი და მაღალი პასუხისმგებლობა. დღეს მე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო შსს-ს, მის ხელმძღვანელს, ბატონ ვახტანგს, საგანგებო ღონისძიებათა ცენტრის, საპატრულო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის თანამშრომლებს, თავდაცვის სამინისტროს, თინა ხიდაშელს, ჩვენს ჯარისკაცებს, საინჟინრო და საავტომობილო ბატალიონის ჯარისკაცებს, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს, გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილს, სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას, ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ტარიელ ხეჩიკაშვილს, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს და კრიზისების მართვის ცენტრს, მათ თანამშრომლებს, თბილისის მერიას, ბატონ დავით ნარმანიას, მერიის სამსახურებს, განსაკუთრებით, სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში. ტრაგედიის დღეებში განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი მოხალისეების, ჩვენი ახალგაზრდების სოლიდარობა. ეს მუხტი გადამდები იყო და ყველასთვის სამაგალითო აღმოჩნდა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ ერთმუშტად შეკრული ჩვენი ქვეყანა და ის საქართველო, რომელიც ყველას გვეამაყება. მინდა, ასევე მადლობა გადავუხადო იმ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც გვერდით ედგნენ ჩვენს ქართველ მოხალისეებს და მათთან ერთად შრომობდნენ. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენს ჟურნალისტებს, მედიის წარმომადგენლებს, ფოტოგრაფებს და ყველას, ვინც ამ მძიმე წუთებში მუშაობდნენ და ჩვენს გვერდით იდგნენ. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს, ჩვენს მეზობლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სტიქიის დღიდან გვეხმარებოდნენ და გვეხმარებიან“.**

13 ივნისს, თბილისში, ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის, გაბედული მოქმედებისა და სამაგალითო თავდადებისათვის საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე „ღირსების ორდენით“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ათი თანამშრომელი მედლით „მხედრული მამაცობისათვის“, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი თანამშრომელი „ღირსების მედლით“ დააჯილდოვა.

„ვერსიანიუსი“

არ არის წყალი, დენი, გაზი, გზა... სამაგიეროდ არის WI-FI

გიორგი სირაძე

ბახმარო უკვე ორ კვირაზე მეტია დამსვენებლებს მასპინძლობს. კურორტზე არსებული ინფრასრუქტურული პრობლემების მიუხედავად, დამსვენებელთა რაოდენობა მაინც დიდია. არადა, სამწუხაროდ, ბახმარო სეზონს წელსაც შიდაგზების, წყლის, შუქისა და ბუნებრივი აირის პრობლემებით შეხვდა.

მომავალი წლიდან ბახმარო არა მარტო ზაფხულის, არამედ ზამთრის კურორტიც უნდა გამხდარიყო. სათხილამურო ტრასის მშენებლობა, აქ სტუმრობისას, ჯერ კიდევ 2012 წელს დააანონსა ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. შემდეგ იყო „ოცნების“ ხელისუფლების დაპირებებიც, თუმცა კურორტზე დღემდე არც გასართობი ცენტრები მოწყობილა და არც რეკრეაციულ ზონებთან მისასვლელი ბილიკები მოწესრიგებულა. ბახმაროს ძირითადი ინფრასტრუქტურა კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. ქაოსური ვითარება და

მოუწესრიგებელი საბაზო ინფრასტრუქტურა დამსვენებლების უკმაყოფილების მთავარი მიზეზია.

კურორტზე უკვე რამდენიმე წელია მწყობრიდან გამოსულია წყლის სისტემა. დამსვენებლებს პრობლემას უქმნის გაუმართავი გზები. ფიცრული სახლების უმეტესობა კი, მოძველებულია.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ბახმაროში ერთ-ერთი კოტეჯის მეპატრონე **გურამ ბერიძე** გვიამბობს: **„გზა არ არის, წყალი გამოსაყვანია... რაც თავი მახსოვს, ბახმაროში უწყლობის პრობლემაა. ყოველდღე „ვედროებით“ რომ ეზიდები წყალს, რომელი სტუმარი მოგივა დასასვენებლად? კურორტს განვითარების არაფერი ეტყობა. სეზონი დაიწყო და ნაგვის ურნები ჯერ არ დაუდგამთ. ყველა სეზონზე ერთი და იგივე პრობლემაა. ხალხს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა დაუდგეს გვერდში, რომ დენის შეყვანა მოვახერხოთ, თორემ, 50 ლარს ვინ გადაიხდის? ძალიან ძვირია. ყურადღება მიაქციონ ბახმაროს. საცოდაობაა, ასეთი უნიკალური კურორტი მოუწესრიგებელია“.**

შარშანდელის მსგავსად, წელსაც ფასები კოტეჯის კომფორტის მიხედვით მერყეობს. გარემონტებული კოტეჯი სეზონზე ათასიდან 3 ათას ლარამდე ღირს. გაურემონტებელს კი 300 ლარადაც იქირავებთ.

„ერთი თვე ვმუშაობთ აქ, რადგან ძვირადღირებულ კომფორტულ კოტეჯს ვერ ქირაობენ. დასასვენებლად უმეტესობა არაკომფორტულ ბინებს ირჩევს. გააჩნია, როგორ მოელაპარაკებით სახლის მეპატრონეს. ცარიელი და მოუწესრიგებელი ბინა 200 ლარიც ღირს. კომფორტული კოტეჯის ფასი 1000 დოლარიდან იწყება“, – აცხადებს ერთ-ერთი კოტეჯის მეპატრონე **ლია ცერცვაძე.**

ბახმაროში ერთადერთი თანამედროვე სასტუმრო კომპლექსია, რომელიც შარშან გაიხსნა. მასში დასვენებას თუ გადაწყვეტთ, დღიურად 50 დოლარის გადახდა მოგიწევთ. სასტუმრო „ბახმაროს“ ადმინისტრატორის, **სოსო სულაძის** განცხადებით: **„ბახმარო“ ერთადერთი ევროპული დონის სასტუმროა კურორტზე. სასტუმროში 18 ნომერია, ყველანაირი კომფორტი გვაქვს. ერთი ადამიანის მომსახურება, სამჯერადი კვებით, ერთი დღით, 50 დოლარია. ბავშვებზე ფასდაკლება გვაქვს“.**

წელს ბახმაროში დამსვენებელს ევროსტანდარტული დონის ხორცის მაღაზია „წიქარა“ მოემსახურება. მაღაზიაში ახალდაკლული საქონლის ხორცი სამაცივრე პირობებში ინახება. ხორცის მაღაზიის მეპატრონე **მალხაზ კაკურია** აცხადებს, რომ ხორცის შეძენა ბახმაროში ყოველთვის პრობლემა იყო, რომელიც წელს გადაჭრილია.

კურორტზე გასართობი ობიექტების ნაკლებობა დამსვენებლების უკმაყოფილებას იწვევს. დღე ცხენით გასეირნება, საღამოს კოცონის დანთება — ბახმაროს ძირითადი გასართობი მხოლოდ ესაა. ბავშვებისთვის ერთადერთი ატრაქციონი დგას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაკეთდა.

„არავის ადარდებს კურორტის განვითარება. ამოვლენ, გაისეირნებენ და წავლენ. ამდენი წელია აქ დავდივარ, განვითარებული და მოწესრიგებული კურორტი ჯერ არ მინახავს. სეზონის გახსნის წინ ააფრიალებენ განვითარების გეგმას და მორჩა. რომელ გეგმასა და განვითარებაზე ვილაპარაკო, როცა წყალიც კი არ არის? მილიონები იხარჯება და ასე ძნელია აქ შუქისა და წყლის პრობლემის გადაჭრა“, — აცხადებს ერთ-ერთი დამსვენებელი, რომელიც ვინაობას არ ამხელს.

სამაგიეროდ, ღიად საუბრობს ბახმაროში დასასვენებლად აჭარიდან ჩასული ექიმი **ოთარ შავაძე: „ბახმარო უნიკალური, მაგრამ კეთილმოუწყობელი კურორტია. აქაურობას მზრუნველი ხელი არ დატყობია. ძალიან ცუდი მდგომარეობაა. რაც იყო, ისიც კი გაფუჭდა. არ შეიძლება ამ ადგილის ასე უპატრონოდ მიგდება. ხელისუფლებამ ბახმაროს შესანარჩუნებლად რაღაც უნდა იღონოს“.**

კურორტ ბახმაროს დირექტორი **დავით საჯაია** ირწმუნება, რომ გასულ წლებთან შედარებით ბახმარო წელს მომზადებული ხვდება. მისი განცხადებით, კურორტს ახალი ნაგავმზიდი მანქანა მოემსახურება: **„ვაწესრიგებთ წყლის სისტემას, დამატებით იდგმება 16-ტონიანი რეზერვუარი, დაემატება ახალი მაგისტრალიც, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს კურორტის სასმელი წყლით მომარაგებას. მოწესრიგდება შიდა გზები და კურორტს მოემსახურება ახალი ნაგავმზიდი მანქანა. წელს ვერ მოვაგვარეთ გამრიცხველიანების პრობლემა. ამ საკითხს მომავალი წლიდან, ენერგეტიკის სამინისტრო მოაგვარებს. წელს დავიქირავეთ ელექტრიკოსები. დენის შეყვანა ბოძიდან სახლამდე უფასოა. კოტეჯში შეყვანა კი — 50 ლარი ღირს. ისეთი კოტეჯების მეპატრონეებს კი, რომლებსაც კოტეჯში წყლის გამაცხელებელი აქვთ დამონტაჟებული, 100 ლარის გადახდა მოუწევთ. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია კოტეჯში მრიცხველი დადგას და გადასახადი ისე გადაიხადოს. წელს ბახმაროში ერთ-ერთი ბანკის წარმომადგენელიც იქნება და ასევე, პირველად, კურორტის დამსვენებლებს Wi-Fi-ით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ. გარდა ამისა, რეაბილიტაცია უტარდება საბავშვო ატრაქციონებს და სანატორიუმის მიმდებარედ, მინისტადიონიც მოწესრიგდება“.**

ექსკლუზიური ვერსია

თბილისის რომელი ქუჩები გამოცხადდება სამშენებლო ნებართვისგან თავისუფალ ზონად

მე-7 გვერდიდან

— კერძო კომპანიების მიერ მობილიზებული 11 მილიონი ლარის გარდა, მთლიანობაში, რა ოდენობის თანხა შეგროვდა?

— ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ანგარიშზე დაახლოებით 25 მილიონი ლარია მობილიზებული, მაგრამ ამ თანხაში შედის ინფრასტრუქტურული მიმართულება და ბიუჯეტის მუხლით გაწერილი თანხა, რომელიც სწრაფ გაწმენდით, ასევე გამაგრებით სამუშაოებს მოხმარდება.

— 13-14 ივნისის ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში, რამდენიმე ბიზნესმენმა დააფიქსირა, რომ სტიქიით დაზარალებულებს ბინებს საჩუქრად გადასცემდა. გაქვთ ინფორმაცია კონკრეტულად ვინ შეიძინა ბინები და თუ გადაეცათ დაზარალებულებს?

— ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლები ვართ, მაგრამ პროცესი ასეთია — ბინას გადმოსცემენ მერიას და მერია გადასცემს ამ ადამიანებს. თუმცა ჯერჯერობით, ცნობილია მხოლოდ ის, რომ საპატრიარქომ ერთი ოჯახი დააკმაყოფილა ვაკეში ბინით. რაც შეეხება ბიზნესმენებს, ისინი მზად არიან დასახმარებლად, ჩვენ შესაბამის სოციალურ ჯგუფებსა და ოჯახებს ვარჩევთ, რომლებსაც გარკვეული კრიტერიუმებით გადაეცემათ ბინები. ამ ინფორმაციას მივაწვდით დაინტერესებულ ბიზნესმენებს და ისინი გადაწყვეტენ, რომელ ოჯახს და რა კრიტერიუმით გადასცენ ბინა. შესაძლოა, ეს იყოს სტიქიით დაზარალებული ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრი გარდაცვლილი ჰყავს, ან სახლი და საცხოვრებელი არ აქვს, ან მრავალშვილიანია, ან მრავალსულიანი, ან სოციალურად დაუცველი და ასე შემდეგ. შესაძლოა, იყვნენ ოჯახები, რომლებიც ცხოვრობდნენ ხეობაში, მაგრამ სახლი რეგისტრირებული არ ჰქონდათ და უსახლკაროდ დარჩნენ. ასეთი ოჯახების სიებიც მომზადდება, რათა არცერთი კატეგორიის დაზარალებული უბინაოდ არ დარჩეს.

— საოჯახო ტიპის სასტუმროები, რომლებშიც დაზარალებულები გადაიყვანეთ, სახელმწიფომ დაიქირავა თუ მფლობელებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და უფასოდ განათავსეს ოჯახები?

— სტიქიის პირველივე დღეს, ყველა დაზარალებული სხვადასხვა სასტუმროში გადავიყვანეთ და არცერთი მათგანი უსახლკაროდ არ დარჩენილა. სასტუმროების მფლობელთა ნაწილმა მნიშვნელოვანი თანხობრივი შეღავათი გაგვიწია, თუმცა ძირითადად, სასტუმროები სახელმწიფო რესურსის ხარჯზე დავიქირავეთ. ამ შემთხვევაში, მერია და გამგეობები არიან თანხის განმკარგველები, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, თბილისის მერიას 200 000 ლარი, ამ ადამიანების სასტუმროებში ცხოვრების ასანაზღაურებლად გამოუყო. ჯამში, 14 ლოკაცია იყო, ანუ სტიქიით დაზარალებულები 14 სასტუმროში განვათავსეთ. დღეს მათი დიდი ნაწილი ქირით გავიყვანეთ, ხოლო მათ, რომლებსაც „საცხოვრისით უზრუნველყოფის“ ხელშეკრულება აქვთ, საკუთარ საცხოვრებლებში გადავლენ.

— ერთ-ერთი დაზარალებული აცხადებდა, რომ საკუთარი ნათესავების მონახულება ვერ შეძლო, რადგან გზის ფული არ ჰქონდა. დღიურ ხარჯებს თუ აძლევდით დაზარალებულებს?

— ასე პირდაპირ თანხა არ გაგვიცია, თუმცა პირველივე დღიდან, ყველა ეს ადამიანი უზრუნველყოფილი იყო საკვებით, პირველადი მოხმარების ნივთებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებითა და სამედიცინო მომსახურებით. პრაქტიკულად, ყოველდღიურ რეჟიმში, ჩვენი წარმომადგენლები მიდიოდნენ სასტუმროებში და ოპერატიულად რეაგირებდნენ თითოეული მათგანის მოთხოვნაზე. რა თქმა უნდა, ამ სასტუმროებში კერძო პირებიც მიდიოდნენ და ამ ადამიანებს ფინანსურ, თუ არაფინანსურ დახმარებას უწევდნენ.

— იგეგმება თუ არა ვერეს ხეობაში, სვანიძის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა, რამდენად უსაფრთხოა იქ ცხოვრება და მიმდინარეობს თუ არა შესაბამისი კვლევა ამ მიმართულებით?

— დატბორვის ზონა ცალსახად რისკის შემცველია, თუმცა მიმდინარეობს კვლევა და ჩვენ ზუსტად გვეცოდინება რისკის ზონები. თუ დადგინდა, ვიტყვით, რომ იქ ცხოვრება ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია და ამ ზონაში სამშენებლო ნებართვები აღარ გაიცემა. ეს ალბათ შეეხება სვანიძის ქუჩის დიდ ნაწილს, წყნეთის ხევს, რომლებიც სამშენებლო ნებართვებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდება და იქ შესაძლოა, მხოლოდ დიდი სარეკრეაციო ზონა გაკეთდეს, რაც საკმაოდ კარგი იქნება თბილისისთვის.

— სარეკრეაციო ზონა ახსენეთ... გაჩნდა იდეა, რომ ზოოპარკის ტერიტორია „მანჰეტენად“ იქცეს, საზოგადოების დიდი ნაწილი დასასვენებელი პარკის, ანუ „ცენტრალ პარკის“ იდეას უჭერს მხარს. თქვენ რომელი იდეა მოგწონთ?

— კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ „მანჰეტენი“ კერძო პირების ინიციატივაა, რომელიც თბილისის მერიის იდეა არ ყოფილა. ამ ეტაპზე, სარეკრეაციო ზონის გარდა, იქ თბილისის მერია სხვა პროექტის განხორციელებას არ გეგმავს. ამ ეტაპზე, პოლიტიკურად გადაწყვეტილია, რომ ზოოპარკის ტერიტორიაზე, სარეკრეაციო ზონა იქნება!

— კომერციულმა ბანკებმაც გამოიჩინეს სოციალური პასუხისმგებლობა და სტიქიით დაზარალებულთათვის სამომხმარებლო სესხების ჩამოწერის ინიციატივით გამოვიდნენ, ეს საკითხი უკვე გადაწყდა?

— კომერციული ბანკები მზად არიან, სტიქიით დაზარალებულებს სესხები ჩამოაწერონ, რომელთა მოცულობა, დაახლოებით, 300 000 ლარზე მეტია. ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს ბანკების ასოციაციასთან, სადაც ამ ტიპის სიებს ვაგზავნით. სულ მალე, ოფიციალური წერილის საფუძველზე, სრული სია ექნებათ და სტიქიით დაზარალებულებს სამომხმარებლო სესხებსაც ჩამოაწერენ და იპოთეკით დატვირთულ შენობა-ნაგებობსაც.

ლიბერთი ბანკი UnionPay International (UPI)-ის უკონტაქტო ბარათებს გამოუშვებს

ბანკმა ჩიპიანი UPI ბარათები უკვე წარმატებით დანერგა

13 ივლისს, ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ და UnionPay International (UPI)-ის პრეზიდენტმა ში ვანჩაომ, ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ამიერიდან, უმსხვილესი ჩინური კომპანიის დახმარებით, ლიბერთი ბანკი უკონტაქტო QuickPass ბარათებს გამოუშვებს. ამ პროექტის განხორციელებით, ლიბერთი ბანკი რეგიონში პირველი იქნება, რომელიც უკონტაქტო UPI QuickPass ბარათებს დანერგავს. 13 ივლისს, საფუძველი ჩაეყარა ლიბერთი ბანკის თანამშრომლობას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მზარდ საგადამხდელო სისტემასთან — UnionPay International.

ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის, **გიორგი არველაძის** განცხადებით, ამჟამად უკონტაქტო QuickPass ბარათების გამოშვების სამუშაოები მიმდინარეობს, ბანკის მომხმარებლებისთვის კი ეს პროდუქტი უახლოეს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი. უკონტაქტო ბარათის გამოყენებით, მომხმარებლებს საშუალება მიეცემათ, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, POS ტერმინალზე ბარათის დადებით, თანხა სწრაფად და მარტივად გადაიხადონ. მომხმარებლები QuickPass უკონტაქტო ბარათებს მაღაზიებში, რესტორნებში, აფთიაქებში, ინტერნეტმაღაზიებსა და სხვა სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტებში გამოიყენებენ:

„მოხარული ვარ, რომ ქართველ მომხმარებლებს გადახდის კიდევ ერთ ახალ მოქნილ სისტემას — UPI უკონტაქტო ბარათებს ვთავაზობთ. საქართველოს საფინანსო ინსტიტუტებს შორის, ლიბერთი ბანკი უდიდესია, რომელიც ამ სისტემაში ჩაერთო და ბარათების გამოშვებით, ასევე გადახდების მიღებით, UnionPay International-თან თანამშრომლობს. ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ, განვავითაროთ და შევქმნათ ახალი პროდუქტები, რაც ჩვენი მომხმარებლებისთვის, დამატებით კომფორტსა და მოქნილობას უზრუნველყოფს“.

მისი თქმით, ლიბერთი ბანკი ერთ-ერთი საფინანსო ინსტიტუტია საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს UnionPay International-ის სრულფასოვან მომსახურებას სთავაზობს. 2014 წლის აგვისტოდან, ბანკმა უკვე 197 000-ზე მეტი Classic, 58 000-ზე მეტი Diamond სახეობის UPI ბარათი გასცა და წარმატებით დაასრულა ჩიპიანი UPI ბარათების დანერგვის პროექტი. როგორც გიორგი არველაძემ განმარტა, ლიბერთი ბანკის UPI ბარათით გადახდის დროს, მომხმარებლებს ლიბერთი კლუბში ქულები უგროვდებათ. დაგროვილი ქულები შეუძლიათ ნაღდ ფულში გადაცვალონ, შეავსონ მობილურის სასაუბრო დრო და გადაიხადონ კომუნალური გადასახადები. დამატებით, ყველა ბარათის მფლობელი 50%-მდე ფასდაკლებით ისარგებლებს cheap.ge-ს პარტნიორ ობიექტებში. ხოლო UPI ბარათის მფლობელები, სპეციალური შეთავაზებებითა და ფასდაკლებებით, მსოფლიო მასშტაბით ისარგებლებენ.

UnionPay International, ჩინური UnionPay-ს შვილობილი კომპანიაა, რომელიც ორიენტირებულია UnionPay-ს ბიზნესის გლობალურ გაფართოებასა და გაძლიერებაზე. როგორც საწევრო ორგანიზაცია, 300-ზე მეტ წევრს აერთიანებს. UnionPay International-ის ბარათებით გადახდა, მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაშია შესაძლებელი, ხოლო უმსხვილესი ჩინური კომპანია, 40-ზე მეტ ქვეყანაში უშვებს ამ ბარათებს. UnionPay International, მსოფლიო მასშტაბით, მრავალ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში, გადახდის მოქნილ და მოსახერხებელ, მაღალი ხარისხის საერთაშორისო სისტემას უზრუნველყოფს. UnionPay International-ის პრეზიდენტის, **ში ვანჩაოს** განცხადებით, საქართველო აზიისა და ევროპის გასაყარზე მდებარეობს და ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა: **„UnionPay International, მუდმივად ფართოვდება და ის უკვე მსოფლიო მასშტაბით არის წარმოდგენილი. მოხარული ვარ იმ ფაქტით, რომ საქართველოში, ლიბერთი ბანკის სახით, ძლიერი პარტნიორი გვყავს, რომელიც მომხმარებლებს UnionPay International-ის სრულფასოვან მომსახურებას მიაწვდის. UPI ბარათის მომსახურებით, ამჟამად ლიბერთი ბანკის 250 000-ზე მეტი მომხმარებელი უკვე სარგებლობს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ბარათების მომხმარებელთა რიცხვი უფრო გაიზრდება“.**

როგორც ში ვანჩაომ აღნიშნა, ლიბერთი ბანკი პირველია, რომელმაც UnionPay International-თან თანამშრომლობის შედეგად, საქართველოში ჩიპიანი ბარათების სისტემა დანერგა.

უმსხვილესი საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის პრეზიდენტის გარდა, საქართველოში UnionPay International-ის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა. ჩინური დელეგაციისა და მათი ქართველი მასპინძლების, ლიბერთი ბანკის წარმომადგენლების განცხადებით, 13 ივლისს დაწყებული თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. ამგვარი პარტნიორობის შედეგად, საქართველოში ბევრად მეტი პროდუქტი დაინერგება და ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, UnionPay-ს ბარათები მათთვის ხელმისაწვდომი იყოს.

მაია მიშელაძე

ევროკავშირმა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 6 მილიონი ევროს ოდენობის ტრანშის გადარიცხვა დაამტკიცა

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინფორმაციით, ევროკავშირმა დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 6 მილიონი ევროს ოდენობის ტრანშის გადარიცხვა. ეს თანხა წარმოადგენს პირველ გადარიცხვას ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 45 მილიონევროიანი „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა (DCFTA) და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამის საბიუჯეტო დახმარების კომპონენტის ფარგლებში.

ვითარების შეფასების შემდეგ ევროკავშირმა დაასკვნა, რომ ამ პირველი ფიქსირებული ტრანშის გადახდის წინაპირობები დაკმაყოფილდა და საქართველოს მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს DCFTA-ს და მცირე და საშუალო ბიზნესის რეფორმირებას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა არის მკაფიო მაჩვენებელი ევროკავშირის მზადყოფნისა, მხარი დაუჭიროს საქართველოში „ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისა“ და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ განხორციელებას და ამავდროულად, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესს, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საფუძველს.

პროგრამის ფარგლებში შემდგომი ტრანშების გადმორიცხვა დამოკიდებული იქნება სავაჭრო პოლიტიკის რეფორმების გატარებასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებული წინაპირობების დაკმაყოფილებაზე, და ასევე მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის უწყვეტ დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებზე.

სამწლიანი პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას DCFTA-ს განხორციელებაში. ევროკავშირის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიული საფუძვლების შემდგომი განმტკიცება; ვაჭრობისა და კერძო სექტორის მარეგულირებელი და ხელშემწყობი ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება; ეკონომიკური აქტორებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება და ამავდროულად მათი DCFTA-ს შესაბამის ახალ მარეგულირებელ გარემოზე მორგება; დაბრუნებული მიგრანტების, ბიზნესით დაკავებული ქალების და ახალგაზრდა მეწარმეების ეკონომიკური ინტეგრაცია.

bpn.ge

შსს-ს აკადემიაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მეთოთხმეტე შეხვედრა გაიმართა.

კომისია აერთიანებს სხვადასხვა უწყებას. მის შემადგენლობაშია შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები. შეხვედრების მიზანია საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაციის, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ტენდენციებისა და მთავრობისთვის წარსადგენი წინადადებების შესახებ დისკუსიის გამართვა და შესაბამის გამოწვევებზე რეაგირება უწყებათშორისი, კოორდინირებული ძალისხმევით.

რიგით მეთოთხმეტე შეხვედრაზე კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს დროული საკანონმდებლო ცვლილებები, კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება, პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობა, სიტუაციის მუდმივი მონიტორინგი და უწყებათა კოორდინირებული თანამშრომლობა, რაც ერთიანობაში ხელს უწყობს ქვეყანაში დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის განხორციელებას.

„ვერსიანიუსი“

1. თავდა-ვიწყებით გატაცება რამეთი
2. ხილის ერთგვარი მსუბუქი პასტილა
3.გულიანი ხვეული ნამცხვარი
4. დაბალი წრეების წარ-მომადგენელი ძვ. რომში
5. ოპტიკური კვანტური გენერატორი
6. იგივეა, რაც პრემია
7.მმართველი ელიტის ზოგადი სახ-ელწოდება
8.საზოგადოე-ბაში თავა-ზიანი ქცევის წესები
9.მუსლიმანთა ფეოდალური მმართველის უმაღ. ტიტული
10.უნაგირის ნაწილი, იგივე ავეანდი
11.გზა ფე-ხით მოსი-არულე-თათ-ვის ქუჩის კიდეზე
12. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე
13.იტალიის საფეხბურთო კლუბი
14. პატარა ერთადგილ-იანი თვითმ-ფრინავი
15. ლონდონის საქმიანი ცენ-ტრი
16. უხამსი, ვულგარული ანუ ...
17. მდინარე შიდა ქა-რთლში
18. დაწესებ-ულება მიზანში სროლაში სავარჯიშოდ
19. ქართული ხალხური ზღაპარი
20. უსინათ-ლოთა შრიფტის ავტორი
21. მუსიკ. ნაწარმოების ძირითადი მოტივი
22. ვისიმე თანმხლები სამხედრო დაცვა
23. სამხედრო თანამდებობა
24. აკაციის მსგავსი ხე
25. ბელგიელი მომღერალი ქალი
26. წყვილი ერთიანი კამათელზე
27.ქალაქი შუა-მდინარეთში
28.წელიწადის მეოთხედი
29.ტავიკური ლიტერ-ატურის კლასიკოსი
30. გა-დაშენებული მორბენალი ფრინველი
31. ჩუქურთ-მიანი ქვა ბეჭედში
32.ზაქარია ფალიაშვილის ოპერა
33. ლატვიის დედაქალაქი
34.მტრე-დის მსგავსი ფრინველი
35. ჭკუა-სუსტობის უმაღლესი ხარისხი
36. მდინარე ეთიოპიაში
37.ადამიანის სამეტყველო ორგანო
38.კრემიანი ნამცხვარი
39.„ხელის ჭუჭი“
40. კურკოვანი ხილი
41.მდინარის მონაკვეთი ორ მეზო-ბელ კაშ-ხალს შუა
42. აგამემნო-ნის ასული
43. შემ-დგომში გადასახდელი დანახარჯი
44. (ძვ.) მაღაზიის გამყიდველი
45. უტყეო ზონა ჩრდილოეთში
46. ქალაქ ტრიპოლის ძველი სახელ-წოდება
47. ვიოლი-ნოს მსგავსი საკრავი
48. რუსი მსახიობი ... სმოკტუ-ნოვსკი
49. პოლიტი-კაში ეკლესიის გავლ. გაძლ. მომხრე
50. ნიდერ-ლანდელი ფილოსოფოსი
51. ერთ-ერთი უძველესი აუ-ქციონის სახელი
52. „გვადი ბიგ-ვას“ ავტორი
53. სოფელი ონის რაიონში
54.დესერტი მოხალული ნუშით და შაქრით
55. ტექნი-კური ზეთი
56. აპლოდის-მენტები
57. იგივეა, რაც თეფში
58.ისრაელ-იუდეველთა მეფე სოლო-მონის დედა
59. დიდი პოლონელი კომპოზიტორი
60. გემის ბოლო ნაწილი
61. დარტანია-ნის მსახური
62. წამლის ფორმა
63. სოფელი სენაკის რაიონში
64. ბრი-ტანელი მეზღვაურების სასმელი
65. კორეული ავტომარკა
66. მუდმივი მყიდველი, შემკვეთი
67. ყველაზე პატარა თითი
68. ფოსო თვალის ქვეშ
69.ერთგვარი შესაკრავი
70. ქართული ხუროთ-მოძღვრების ძეგლი ადიგე-ნის რაიონში
71. ბილიარდის მაგიდის კიდეზე გაკეთებული ჭრილი, რომლის ქვეშაც მიმაგრებუ-ლია ბადე
72.ყვავილის ქოთნის ჩასადგმელი დეკორატ. ვაზა
73. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
74. ჰოლანდი-ური გვარების წინსართი
75. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
76. ამაზონის დელფინი
77. ინდური კობრა
78.სარწყავად გაჭრილი პატარა არხი
79.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
80. (ძვ.) დიდი მუწუკი
81. მწერის განვითარების სტადია
82. ჰოლივუ-დის მსახიობი ვივიენ ...

გოგონას ცხვირი დაუბეჭდეს

პატარა გოგონას, რომელიც ცხვირის გარეშე დაიბადა, საჭირო ორგანო 3D-პრინტერზე დაუბეჭდეს. დღეისთვის მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში მხოლოდ 50 შემთხვევაა ცნობილი, როცა ბავშვი ყნოსვის ორგანოს გარეშე დაიბადა. ამ დეფექტის აღმოფხვრას ადრე ძალიან დიდი დრო და სულ მცირე, 10 ოპერაცია სჭირდებოდა, მაგრამ ახლა სამგანზომილებიანი პრინტერის საშუალებით პრობლემის მოგვარება გაცილებით მარტივი და ხელმისაწვდომი გახდა. ცოტა ხნის წინ სპეციალისტებს ჩრდილოეთ ირლანდიელმა წყვილმა მიმართა, რომელთაც უცხვირო გოგონა გაუჩნდათ. ბავშვის არინიისგან განკურნება ლონდონელმა მედიკოსებმა დაიწყეს. ჯერ კიდევ ორსულობის მე-20 კვირაზე დედას აცნობეს, რომ ჩანასახს ცხვირი არ ჰქონდა და ქალს ფეხმძიმობის შეწყვეტა ურჩიეს. მაგრამ დედამ მაინც გადაწყვიტა გაჩენა. ბავშვს თავის ქალის სამგანზომილებიანი გამოსახულების მიხედვით, შესაფერისი ფორმის ცხვირი შეურჩიეს და დაუბეჭდეს. პლასტმასის ასლი გოგონას კანქვეშ ჩაუდგეს. დროთა განმავლობაში კანი გაიჭიმება და ცხვირის ფორმას მიიღებს, მერე კი, როცა გოგონა გაიზრდება, პლასტმასის ორგანოს უფრო დიდ ვარიანტზე შეცვლა დასჭირდება, საბოლოოდ კი, სამუდამო ცხვირს ჩაუდგამენ და დეფექტიც აღარ იქნება შესამჩნევი.

სუდოკუმანია

ადვილი

	1					8		
4		9			8		7	
2		7	1					4
					7		5	9
				3				
7	6		9					
6					4	2		1
	5		6			4		7
		1					6	

სტანდარტი

				4			8	
					1			4
9			7	6	5			
6	2		4				9	
8		9				7		2
	7				2		3	6
			5	3	7			8
2			9					
	6			2				

რთული

				2	7	6		5
				4	1	8		
3					5		7	
5						7		
4	8			5			1	9
		6						8
	2		4					6
		4	5	7				
1		3	6	9				

ექსპერტი

9				6		4		1
			4				7	
	5		8				3	
5	4				8	7		
		6	2				9	3
	9				7		5	
	8				3			
1		3		4				9

პლასტმასის ჭურჭელი კენჭებს აჩენს

მეცნიერები საფრთხეზე ალაპარაკდნენ: პლასტმასის ჭურჭლის გამოყენებისას ადამიანი ზრდის შანსს, თირკმელში მეტი კენჭი დაუგროვდეს. ხშირად როცა ბუნებაში გასვილისას, პიკნიკზე პლასტმასის თეფშებს იყენებენ, არადა მასზე მოთავსებული ცხელი საკვები პლასტმასთან რეაქციაში შედის და მელანინი გამოიყოფა, ამ ნივთიერების ჭარბი რაოდენობა კი ორგანიზმში კენჭებს წარმოქმნის. ტაივანელმა მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც მოხალისეთა ორი ჯგუფი მონაწილეობდა. ერთი ნაწილი პლასტმასის ჭურჭლიდან იკვებებოდა, მეორე — კერამიკული ნაწარმიდან. ორივე ჯგუფის მონაწილეთა შარდის ანალიზმა აჩვენა, რომ საკვების მიღებიდან 12 საათის შემდეგ, პირველი ჯგუფის წევრებში მელანინის რაოდენობა, დაახლოებით 8,35 მიკროგრამი იყო, მეორე ჯგუფში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,3 მიკროგრამი.

ყავაზე უარი სიგიჟეა?

ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის ახალ, ოფიციალურ ჩამონათვალში, ფსიქიკურ აშლილობად კოფეინით ინტოქსიკაცია და ყავაზე უარისთქმაცაა მითითებული. პროფესიონალთა რეაქცია ამ დიაგნოზების აშლილობად გამოცხადების შესახებ, არაერთგვაროვანი იყო. ზოგი მათგანის განცხადებით, კოფეინური ინტოქსიკაცია და კოფეინზე უარის თქმა — გავრცელებული მოვლენაა, თუმცა, იშვიატად ხდება კლინიკური დარღვევების მიზეზი და მათი აშლილობად მიჩნევა დაუშვებელია. ყველა ადამიანი პაციენტად არ უნდა ვაქციოთო. ახალი ჩამონათვალის ავტორები კი პირიქით, მიიჩნევენ რომ ეს დიაგნიზი „კლინიკურად მნიშვნელოვანია“. კოფეინზე უარის თქმის სიმპტომები სხვა აშლილობისა და დაავადების სიმპტომებს ჰგავს. არაერთხელ გვსმენია, რომ ადამიანები თავის ქრონიკული ტკივილის გამო მიდიან ექიმთან, რადგან ჰგონიათ, რომ გრიპია, არადა, მიზეზი კოფეინზე უარის თქმაა, — აცხადებენ ამერიკელი ფსიქიატრები.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	1	6	7	4	9	8	2	3
4	3	9	2	5	8	1	7	6
2	8	7	1	6	3	5	9	4
3	2	8	4	1	7	6	5	9
1	9	5	8	3	6	7	4	2
7	6	4	9	2	5	3	1	8
6	7	3	5	9	4	2	8	1
9	5	2	6	8	1	4	3	7
8	4	1	3	7	2	9	6	5

სტანდარტი

1	5	2	3	4	9	6	8	7
7	3	6	2	8	1	9	5	4
9	4	8	7	6	5	3	2	1
6	2	3	4	7	8	1	9	5
8	1	9	6	5	3	7	4	2
5	7	4	1	9	2	8	3	6
4	9	1	5	3	7	2	6	8
2	8	5	9	1	6	4	7	3
3	6	7	8	2	4	5	1	9

რთული

8	4	1	3	2	7	6	9	5
6	7	5	9	4	1	8	2	3
3	9	2	8	6	5	1	7	4
5	3	9	1	8	4	7	6	2
4	8	7	2	5	6	3	1	9
2	1	6	7	3	9	5	4	8
7	2	8	4	1	3	9	5	6
9	6	4	5	7	8	2	3	1
1	5	3	6	9	2	4	8	7

ექსპერტი

9	3	8	7	6	5	4	2	1
2	6	1	4	3	9	8	7	5
7	5	4	8	2	1	9	3	6
5	4	9	3	1	8	7	6	2
3	2	7	9	5	6	1	4	8
8	1	6	2	7	4	5	9	3
6	9	2	1	8	7	3	5	4
4	8	5	6	9	3	2	1	7
1	7	3	5	4	2	6	8	9

მე-10 გვერდი: 1. შერვუდი; 2. ემპათია; 3. ვაკუუმი; 4. დელი; 5. მშვილდი; 6. შალიაპინი; 7. ინცესტი; 8. დაბა; 9. სპეკალი; 10. რუმინეთი; 11. იონოსფერო; 12. მილიარდერი; 13. პლაცებო; 14. იერალაში; 15. ასტარტე; 16. ეტრატი; 17. იურთი; 18. ასია; 19. იუმორი; 20. ამინ; 21. ორისაბა; 22. საროიანი; 23. ხვითო; 24. ოვაცია; 25. ტუსტეპი; 26. ლორკა; 27. სანჩო; 28. ხაბაზი; 29. ივრითი; 30. ტირი; 31. ტიროლი; 32. ფორმოზა; 33. საბა; 34. ბარდა; 35. ვენა; 36. კუთხე; 37. სფერო; 38. ბაზი; 39. ხმა; 40. აგრო; 41. ივან; 42. გემი; 43. ერაყი; 44. როდ; 45. იანი; 46. ცია; 47. გეიშა; 48. ინა; 49. ზუთხი; 50. ვიგვამი; 51. ანძა; 52. ნუნუ; 53. ყია; 54. პო; 55. ვან; 56. რა; 57. გობრონი; 58. პრაიდი; 59. ნიონი; 60. ელდა.

მე-12 გვერდი: 1. ენცეფალიტი; 2. ბოგოტა; 3. ეპიტაფია; 4. ცული; 5. ფიბა; 6. ბაბუინი; 7. გინიოლი; 8. ტამტამი; 9. ხაო; 10. ოხშივარი; 11. ბელგია; 12. ბინომი; 13. დელიკატესი; 14. იდაონი; 15. ორთი; 16. კვარტა; 17. ფხოვი; 18. ლემა; 19. არშია; 20. ბოუი; 21. პართია; 22. პიანინო; 23. ომარ; 24. კირი; 25. ბილიკი; 26. ვიტრინა; 27. რაიმონდ პაულსი; 28. მემფისი; 29. ატომი; 30. აბა; 31. ფლაგშტოკი; 32. „იუმორინა“; 33. დაკარი; 34. დუბაი; 35. ფრაუ; 36. არშინ; 37. იაკი; 38. კერი; 39. აზრა; 40. მონა; 41. ინა; 42. ირონია; 43. იეტი; 44. იტილი; 45. ატამანი; 46. იაუზა; 47. ტრიკო; 48. ემუ; 49. ანანასი; 50. დრიფტერი; 51. ლოსი; 52. ამაგი; 53. ტაშტი; 54. ლაპი; 55. ორმო; 56. ფარა; 57. ილფი; 58. ამება; 59. უტა; 60. სიუნმაო;'61. კანა; 62. სოფია; 63. თარი; 64. მაო;'65. მუმია; 66. მიმოზა; 67. ბანი; 68. ბრი; 69. უილ; 70. აკა; 71. ალუდა; 72. ვარია; 73. დაზგა; 74. მადათოვი; 75. ტრიო; 76. სბირი; 77. ავი; 78. ლავა; 79. ბაიკა; 80. ჭაჭა; 81. მიზერერე; 82. ელი; 83. ელი; 84. ბოი; 85. ინგირი; 86. გედია; 87. ორე.

ვინ არის საუკეთესო მეგობარი

ახალმა ფსიქოლოგიურმა კვლევამ დაამტკიცა, რასაც ბევრი სწავლული დიდი ხნის წინ ლაპარაკობდა: მამაკაცი-გეი და ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქალი — საუკეთესო მეგობრები არიან. ეს ურთიერთობა მაქსიმალური სანდოობით გამოირჩევა. ტეხასის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაინტერესდნენ, რატომ აქვთ გეებსა და სუსტი სქესის წარმომადგენლებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. მათ განიხილეს ჰიპოთეზა, რომ ქალს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან აქვს კავშირი, მაგრამ ამასთან, არ არსებობს მათი ინტიმური სიახლოვის ვარიანტი. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ექსპერტებმა შეარჩიეს ტრადიციული ორიენტაციის 88 მანდილოსანი, 58 გეი-მამაკაცი და ჩაატარეს ექსპერიმენტი. ქალებს ეკითხებოდნენ, ვის უფრო ენდობოდნენ ზოგიერთ საკითხში: ტრადიცული ორიენტაციისას თუ ცისფერს? მოკლედ, აღმოჩნდა, რომ გეები და მშვენიერი სქესი ერთმანეთს 20%-ით მეტად ენდობა, ვიდრე სხვა ადამიანებს. ისე კი, ამაში გასაკვირი არც არაფერია და ეს უნიკალური მოვლენა მშვენივრადაა ასახული თანამედროვე კინოში, ლიტერატურასა და პოპ-კულტურაში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

ვართოგა

1. კომპიუ-ტერული მოწყობი-ლობა
2. ავტო-მობილის მექანიკური საყვირი
3. იგივეა, რაც ბუნება
4. წყალქვეშა კლდე
5. დიდად განსწავ-ლულობა
6. კრების ჩატარების წესი
7. ასა-ფეთქებლად სმარებული ფისტონი
8. ტუტე ლითონი
9. ძაღლის ჯიში
10. იტალ. მწერალი უმბერტო ...
11. ფრთოსანი მწერის გან-ვითარების სტადია
12. ნიგერიის დედაქალაქი
13. გადაჭარ-ბებული წარმოდგენა საკ. თაეზე
14. წინსართი, აღნიშნავს „ორჯერ“
15. იაპონური მულტიპ-ლიკაცია
16. წვრილი ქვიშა
17. მალის დედაქალაქი
18. ბირმის ამჟამინდ-ელი სახელ-წოდება
19. სახ-ელმწიფო აფრიკაში
20. საფრანგ. საფეხბურ-თო კლუბი
21. მოუ-ლოდნელი შემოწმება
22. რადიო-აქტიური ქიმიური ელემენტი
23. თურქული მარგარინის მარკა
24. ჩაპლი-ნის ბოლო მეუღლე
25. ინდიელთა შხამი
26. „ნისანის“ მოდელი
27. აშშ-ის კინოპრემია
28. ას-ტრონომიის მუზა
29. ენა-ჩლუნგი
30. კოშკის მუსიკალ-ური საათი
31. სოფელი ქარელის რაიონში
32. ტყვე ძვირფასი ინფორმა-ციით
33. წვრილი ნაწლავის ანთება
34. საოჯახო ელექტრო-ხელსაწყო
35. უხეშ-ეკლიანი ველური ბუჩქი
36. პირველი ადამიანი
37. ირანის ერთ-ერთი ქალაქი
38. პირე-ნეის მთების მწვერვალი
39. უფლის მცნებათა რაოდენობა
40. ქართ. ტელეარხი
41. იგივე თაღი
42. შუად-ღის პურის ჭამა
43. ჩქარი ტემპის ვირტუ-ოზული მუსიკალ-ური ნაწარ-მოები
44. ყურანის ცალკეული თავი
45. ბრა-ზილიელი მწერალი
46. მონღოლი დიდებული
47. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში
48. სახოტბო ლექსი
49. მწერა-ლი ... არაგვის-პირელი
50. ამაზონის დელფინი
51. ვიო-ლინოების იტალიელი ოსტატი
52. ხრიკი, ფანდი
53. საქონლის „სუფთა“ წონა
54. ნიუტონის სახელი
55. საუკუნეში წლების რა-ოდენობა
56. სიროფში მოხარშული ხილი
57. ყელზე ჩამოსაკიდი ძვირფასთვლებიანი სამკაული
58. ნუშის იტალიური ლიქიორი
59. დარ-ტანიანის მსახური „სამ მუშ-კეტერში“
60. ჭამის სურვილი
61. ფუტკრის სახლი
62. ლითო-ნის თხელი ფურცელი
63. ისტო-რიის მუზა